№ 102
პარასკევი, 17 ივნისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან., თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 102
პარასკევი, 17 ივნისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვს, პეტერბურგს და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები.**

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ Редакція газ. „Иверія".

შაბათს, 18 ივნისს, მეორმოცე დღეს ბაქოს გუბერნატორის ტაინი სოვეტნიკის

თავ. მიხეილ ალექსანდრეს მის ნაკაშიძის

გარდაცვალებიდან, ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის ათს საათზე, ხოლო პანაშვიდი 12-ზე. (2—1)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილლუსტრაცია.

ფასი 30 კაპ. (30—14)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
ифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

სახიფათო უზრუნველობა

—

როგორც მოსალოდნელი იყო, სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება დღითი-დღე უფრო და მეტად საინტერესო ხდება...

საინტერესოა, თუ როგორ ირკვევა და თანდათან იხსნება ის წესრიგი, ის რუტინა და სისტემა საქმის წარმოებისა, რომელმაც ბანკს თავზე მოახვია 1,200,000 მანათზე მეტად ღირებული ქალაქის მამულები.

ამ საქმის გამოსარკვევად განსაკუთრებული კომისიაც კი იყო არჩეული ამ ერთის წლის წინად, რომელსაც, საწუხაროდ, ცოტაც უმეცადნია საქმეზე და თვით საქმისათვის ცალმხრივ შეუხედნია, წვრილმანებს და საქმის ფორმალობას გამოსდგომია, ხოლო საერთო ტიპიურ [illegible]ზეზთათვის ან ვერ მიუგნია ან განზრახ მხარი აუქცევია. ეს გარემოება აშკარად დამტკიცდა გუშინწინდელ კრებაზე, როცა თავ. ილია ჭავჭავაძემ დაწვრილებით გაარჩია კომისიის მოხსენება... მაგრამ ბანკის გამგებლის სიტყვებით მაინც ვერ გაქარწყლდა ის მაჯლაჯუნასავით გულს მოწოლილი შიში, რომელსაც საფუძვლიანად გრძნობდა ყოველი მიუდგომელი მოკეთე ბანკის კეთილდღეობისა...

მართალია, არავითარი ეჭვი არ შეუტანია გამგეობისა და დამფასებელ კომისიის წევრთა კეთილსინიდისიერებაზე ბანკზე დარჩენილ აუარებელ მამულებისა გამო, მაგრამ ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა გარემოებამ აშკარად იჩინა თავი—ჩვენ ვამბობთ შეუწყნარებელ ხალვათობაზე, დაუდევრობაზე და, თუ გნებავთ, ბოროტ უყურადღებობასა და გასაკიცხ მცონარეობაზე...

თუ არ ბოროტის დაუდევრობით, განა სხვა რითიმე აიხსნება ის საკვირველი ამბავი, რომელიც კრებას აუწყა ბ-ნ ალ. კობიაშვილმა თავის მშვენიერს და ყოველ მხრივ დასაბუთებულ სიტყვაში? წარმოიდგინეთ ვიღაც ბაბაევი და მისი ვექილი,—ან, უკედ რომ ვსთქვათ, შუამავალი ბანკსა და დამგირავებელთ შორის,—თავ. არღუთაშვილი ბანკში აგირავებენ ახლად ამართულს სახლს, რომელსაც ქალაქის ხუროთ-მოძღვარნი წაქცევას უქადიან. თურმე დამფასებელი კომისია და გამგეობა ბაბაევის სახლს შეაფასებენ 116,000 მანათად, მაგრამ აქ რაღაც უცნაური ამბავი ხდება... ბაბაევის ვექილი არღუთაშვილი სესხზე უარს აცხადებს და „საქმის წარმოება შეწყდება". ამის შემდეგ არ გასულა ორი თუ სამი თვე, ბაბაევი ხელ-ახლად თხოულობს იმავე სახლზე ახალს სესხს, ხოლო უფრო მეტს... ხოლო რა გგონიათ, ახლა იგივე დამფასებელი კომისია და იგივე გამგეობა იმავე სახლს აფასებენ 146,000 მ., ესე იგი, 30000 მანათით მეტს შეაფასებენ, ვიდრე სამის თვის წინად. რა თქმა, უნდა ბაბაევი სესხს მიიღებს და სახლს კი ბანკზე ანარჩუნებს!..

ამისთანა „შემთხვევა" პირველი როდია ბანკის ოპერაციებში. ისეთი მაგალითებიც ყოფილა, როცა გამგეობას დამატებითი სესხი გაუცია დამფასებელი კომისიის დაუკითხავად და შესაფერი ოქმის შეუდგენლად...

ერთის სიტყვით, გუშინწინდელ ბანკის რწმუნებულთა სჯა-ბაასის ყოველი სიტყვიდან ნათლად და მოურიდებლად გამოსჭვივოდა საარაკო ხალვათობა, გონება-დაჩნეული უყურადღებობა და დაუდევრობა, რომლის წყალობით ბანკზე ჯერ კიდევ იმ წელს დარჩენილა 1,200,000 მან. მეტი მამულები, რომელთა ფასმა შესაძლოა ნახევრად იკლოს... ეს კიდევ არაფერია, ანუგეშებდა ბანკის მმართველი რწმუნებულთ, მადლობა ღმერთს, თუ მარტო ამით გადავრჩითო, შესაძლოა, რომ ზარალმა ორ-მილიონს გადააცილოსო!.. კარგი ნუგეშია სწორედ!

არა, ბატონნო მმართველნო და გამგებელნო,—თქვენი ნუგეში მეტად საშიშია. თუ ახლავე, დაუყონებლივ არ გაიწმინდა ის ბიუროკრატიული ატმოსფერა, რომლის მეოხებით შესაძლოა დაწესებულებაში სუფევდეს ზემოდ ნახსენებისთანა დაუდევრობა, უეჭველია, ბანკის სიმტკიცე შეირყევა და მასთან შეირყევა არსებობა ყველა იმ განმანათლებელ და პროგრესიულ დაწესებულებათა, რომელნიც ცოცხლობენ ბანკის შემოსავლით.

ახლა, როცა ყველგან და ყველანი განახლებისა და აღორძინების გზას ადგანან, საჭიროა ახალი გამაფხიზლებელი სიო შეუშვათ ამ დაწესებულებაში.

ტასიაშვილი.

◆

სარჩლი

(ა. პეშეხონოვისა)

ბედმა მარგუნა რუსთა კალმოსნობა. ეს იმის მომასწავებელია, რომ, სანამ ჩემის ნაწერის თითოეული სტრიქონი ქვეყანას მოევლინებოდეს, ათჯერ და ათასჯერ მაინც დამახინჯდება, ან სრულიად აღიგვება პირისაგან ქვეყნისა.

ათის წლის კალმოსნობაში ბევრი სტრიქონი გამომდგარა ცენზურისაგან ათვალწუნებული, ჩემი ხელნაწერი ბევრგვარად მინახავს საცენზურო წითელის მელნით აჭრელებული. გულის სიღრმემდე მწვდება და კარგად მესმის ნეკრასოვის სიტყვების აზრი:

„ოდეს იხილო წითელი ჯვარი,
. . . .
სჩანს, იქ სისხლია დანთხეული...
. . . .

სისხლი კალმოსნისა... მე განმიცდია შანთით ნაწამებ ადამიანის ქრუანტელი, ჩემთვის ნაცნობია ის ტკივილები, რომელსაც იწვევს დახშობა აზრისა, მისი სათავეშივე დასახიჩრება, სიტყვის ცხოველ-მყოფელობის მოსპობა. მე განმიცდია ის ტანჯვა-წვალება, რომელიც თავს დაატყდება ხოლმე მწერალს, როდესაც „მონურის" ენითაც კი ნება არა გაქვს გამოსთქვა, რაცა გსურს, [illegible] არ [illegible] მაგრამ ამჟამად, როდესაც იძულებული ვარ სიტყვას გამოვესარჩლო, არც ჩემზე და არც სხვა კალმოსნებზე აღარ ვფიქრობ.

⁂

მკითხველის ბედი უფრო მაწუხებს. მე ვიცი საბუთები, ფაქტები, რომელიც მკითხველისათვის უცნობია. ჩემს გონებას შარავანდედად ეფინება აზრი, რომელიც მკითხველამდე დაკნინებული ძლივს მიაღწევს. მე განვიცდი ცხოველმყოფელს, სატრფიალო იდეალებს, რომელიც ვერ მიაღწევს მკითხველის ყურამდე, ვერ გაათბობს და ვერ გააცისკროვნებს მის სულსა და გულს...

ცენზურა მწერალს მარტოოდენ ბაგეთა ზედა ადებს ბოქლომს, მკითხველს კი—გულის სიღრმეში უფათურებს ხელებს. მოხელეს რა ენაღვლება, რა ტანჯვა-ვაებით იშვა აზრი, იგი რას დაგიდევს იმ ნეტარ სიტკბოებას, რასაც ადამიანს ახლად ნაშობი სიტყვა აგრძნობინებს. მათი მეხსიერება თვის თავს, თვის „20"-ს შთაუნთქავს.— მაშინ იღებენ ჯამაგირებს. ეს არის სასყიდელი მათი იმ სისხლის ჯერებისთვის,—გოლგოთასავით ნაწერს ქაღალდზე რომ აღმართავენ ხოლმე...

რაა არს ჭეშმარიტება?.. თვით ქრისტემ უპასუხოდ დასტოვა ეს საკითხი, მოხელეებს კი წარბსაც არ შეახრევინებს... სადაა სამართალი? ეს ქვეყანათა და ქალაქთა აღშფოთებულის გულიდან აღმოხეთქილი გმინვაა... დაქირავებულს, მოსყიდულ გულს არც კი შეატოკებს .. ჭეშმარიტებისათვის მას თავისებური საზომავი აქვს—სირიელი პილატესი... სამართლიან ცხოვრებისათვის საკუთარი იდეალი ასულდგმულებთ—პირფერობა, დამცირება უფროსის წინაშე..

დაქირავებული ხალხი დაჰპატრონებია ჩემის მეგობარ-მკითხველის გულსა და გონებას, აზრსა და სინდისს... რთულსა და საძნელო ამოცანებზე შეთხზულს პასუხებს აჩეჩებენ ხელში, გართულებულ და გამრავალფერებულ ცხოვრების გამოსარკვევად გაუგებარ აბდა-უბდას სთავაზობენ..

ვხედავ ამ უდიერობას. თვითონაც მკითხველი ვარ და ვიცი, რომ ძალმომრეობაა იგი, მაგრამ ახლა მკითხველებზე აღარ ვფიქრობ...

⁂

ჩვენ, კალმოსნები,—ათასობით ვართ; თქვენ, მკითხველები—ასი ათასობით... მაგრამ არიან კიდევ სხვანი—მილიონობით... იმათი დავიწყება არ შეიძლება.

ჭეშმარიტების განმტკიცება ვის უფრო აინტერესებს? რა თქმა უნდა, იმათ, ვისაც მცირედაც არ უგემნია იგი. ვინც არის სამართლიანობას მოწყურებული. თქმა არ უნდა,—ვინც საუკუნეთა ქარტეხილს გადარჩენილა და სამართლიანობისთვის მაინც ვერ მიუგნია...

მაშ ვის წინააღმდეგ ამხედრებულა ცენზურის სუსხი?.. იგი ამხედრებულა წინააღმდეგ, აი, ამ ხმა-ჩაწყვეტილ, უფლება-აყრილ უმრავლესობისა!

ვინ არ იცის, რომ, რაც უფრო სწორე და დოსტოღრივია მისკენ მისწრაფება, მით უფრო ძნელი სანგლები აღიმართება აზრის წინააღმდეგ და, რაც უფრო ხალხის თანასაგრძნო სიტყვა, მით უმეტესი გოლგოთის ვნება უნდა განიცადოს მან. სჩანს—ჭეშმარიტებას ხალხის გულისაკენ გზას ულობავენ, აშკარაა,—ხალხის ქვითინს აყრუებენ.

მე მგონია, რომ ქარხანაში მანქანათა ზრიალზრიალით გაბრუებული მუშა, სურავანდით გასიებული, სიმშილით დაძინებული „ტეტია" და გადაგვარების უფსკრულისკენ დაქანებული ჩუჩა—არა ნაკლებად ნატრობს თავისუფალ სიტყვას, ვიდრე მოწინავე, განათლებული წოდება, თუნდაც თავის უფერულს სიცოცხლეში თვალითაც არ განეცადოს გაზეთი, თუნდაც არ იცოდეს, რომ ქვეყნიერობაზე არსებობს რაღაც მწერლობა...

მრწამს ზავთ ადამიანის აზრისა, მრწამს დაუცხრომელი მისწრაფება მისი სიმართლისაკენ, მრწამს მისი შეუდრკელის რწმენით აღფრთოვანებული გატაცება, მისი სიმართლის ღაღადისი ქვეყნად. ვიცი, რომ მისი ცხოველ-მყოფელი გავლენა, თვით ხალხის უმწვერვალეს მტრებშიაც-კი იძენს უებრო მებრძოლთ და თავისუფლების მოსარჩლეთ!.. დადგება დრო, როდესაც დიდებული აზრი და სიტყვა იგი ხალხის გონებაში შეაშუქებს, გულის სიღრმემდე ჩასწვდება და, ძალ-მომრეობის დასამხობად იგი, სასიქადულო და შეუგვინავ ძალად გადაიქცევა.

თავისუფლება სიტყვისა—ხალხის თავისუფლებაა. იგი წინამორბედია ხალხის კეთილ-დღეობისა.

სიტყვის მოსარჩლედ რომ გამოვდივარ, ეჭვიც არა მაქვს, რომ დიდებულ საქმეში ვიდებ წილს... ეს საქმე ას-მილიონიან დამცირებულ, გათახსირებულ, შეურაცხყოფილ ხალხის სარჩლია იმ ძალმომრეობის დასამხობად, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ფეხ-ქვეშ სთელავს ჩვენს ადამიანურ ღირსებას...

ნარკანი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივნისი.

ლონდონი, 14 ივნისი. ბროდრიკს არავითარი ცნობა არ მოსვლია იმის შესახებ, ვითომც კერზონს ინდოეთში სამსახურში თავს დანებება უნდოდეს.

პარიზი. „ეკო დე პარის" ცნობით, 10 ივნისს 19 შეიარაღებული ავსტრიელი ჯარის კაცი, ოფიცრის უფროსობით, იტალიის საზღვარზე გადავიდა მონტემანჯიორეს მიდამოებში. მთიგონეს,—გზა დაკარგვნაო, და ამასთან სოფლელებს გზასეკითხებოდნენ და ტოპოგრაფიულ ცნობებს კრებდნენ. ამ შემთხვევას შეუძლია განხეთქილება გამოიწვიოს.

ბეირუთი, 15 ივნისი. შეიხ-ულ-ისლამი მუხამედ აზდული არაბებისკენ გადავიდა და ოსმალეთის ხონთქარს ხალიფის წოდება ჩამოართვა.

ლოძი, 15 ივნისი. თითქმის ყველა ქარხნები მუშაობს. მხოლოდ ერთმეტ ქარხანაში სამი ათას შვიდი მუშა არის გაფიცული. დღისა და ღამის მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ნოვგოროდი, 15 ივნისი. ეს მესამე დღეა, რაც რკინის გზის მუშები გაიფიცნენ, ქირის მომატება და უფროსებისაგან ზრდილობიანი მოპყრობა მოითხოვეს. რკინის გზის გამგემ მუშები სამსახურიდან დაითხოვა და დროებით მუშაობა შეაჩერა. ყველგან წესიერებაა.

ტაგანროგი, 15 ივნისი. ნევეილდეს და კ. ქარხანასთან ორასამდე მუშამ კრება გამართა.

კოვნა, 15 ივნისი. ნემანზე მეტივეები გაიფიცნენ. გერმანიის ელჩმა დახმარება ითხოვა. ზომები მიღებულია.

ჯიდდა, 14 ივნისი. ინსურგენტებმა მოკლ, ბეტელფაკი და იათუარიში დაიჭირეს. იემენში ოსმალების ხელში მხოლოდ ხედეიდა-ღა არის.

ტანჟერი, 14 ივნისი. სულთანმა ევროპაში ფულის შეტანა დროებით შეაჩერა.

პეკინი, 15 ივნისი. კვანსის და ფილიპის კუნძულებზე ამერიკელებმა გამოსცეს კანონი, რომელიც ამერიკის ტერიტორიაზე ჩინელებს იმიგრაციას უკრძალავს.

პეტერბურგი, 15 ივნისი. ელინთა დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული მოვიდა. დიდმა მთავარმა გიორგი მიხეილის ძემ დაჰჭირდა სადედოფლოსათვის გამართული თავშესაფარი დაათვალიერა.

ნიკოლაევი, 14 ივნისი. ყველა დიდ ქარხნებში მუშაობა შესწყდა.

ხარკოვი, 15 ივნისი. ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა აგრარულ საკითხების გარჩევის დროს გლეხებიც მოიწვიონ ხოლმე. დასრულდა განხილვა იმ მოხსენებისა, რომელშიაც ნაჩვენები იყო ზომები გლეხების მიწით უზრუნველ-ყოფისა.

სტოკჰოლმი, 15 ივნისი. რიკსდაგის მეორე პალატამ, კანონ-პროექტი ნორვეგიის სტორტინგთან მოლაპარაკების შესახებ განსაკუთრებულ კომისიას გადასცა. იუსტიციის მინისტრმა შეკითხვის პასუხად სთქვა, ყველა იმ აზრისაა, რომ ნორვეგია უნიაზე ძალად არ უნდა დავითანხმოთ. შვეციამ უძლეველი დაბრკოლებები არ უნდა შეჰქმნას, მაგრამ, ამასთანავე, თავის უფლებრივი ინტერესები კი უნდა დაიცვასო.

ვენა, 15 ივნისი. საპარლამენტო კომისიაში გაუხმა განაცხადა, რომ ავსტრიამ და უნგრეთმა გადასწყვიტეს, სახელმწიფოს დახმარება აღმოუჩინონ საერთო ხარჯებში. რაც შეეხება შვეიცარიასა და ბულგარიასთან სავაჭრო ხელშეკრულობას, გაუხმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება ახლო მომავალში დაიწყებაო.

პარიზი, 15 ივნისი. 14 ივნისს რუვიემ რადოლინი მიიღო და ერთს საათს ებაასა.

ბელოსტოკი, 15 ივნისი. ნოვოე სვეტის ქუჩაზე რევოლვერით მოჰკლეს მექარხნე მარკინი.

ახალი ბუხარა, 15 ივნისი. ბუხარის ემირი ქერმინიდან 16 ივნისს კავკასიაში მიემგზავრება.

ლოძი, 15 ივნისი. ბრძანება გამოსცეს დაიკეტოს ის დუქნები, სადაც კი სასმელები იყიდება. ქალაქში სამხედრო წესი არსებობს. აკრძალულია ყოველგვარი კრება. დღისით და ღამით სავალდებულოა კარისა და ჭიშ-კარის დაკეტვა. ნაბრძანებია ქალაქიდან უსაქმო ხალხის გაძევება. ქალაქის მცხოვრენი თანდათან მშვიდდებიან.

სიმფეროპოლი, 15 ივნისი. ერობის საგანგებო კრების დადგენილება და შუამდგომლობა გაძლიერებულ დაცვის გაუქმების შესახებ გუბერნატორმა დაამტკიცა.

ლონდონი, 15 ივნისი. საზოგადოებათა პალატაში ბროდრიკმა განაცხადა, რომ ინდოეთის ვიცე-კოროლმა სამსახურიდან გადადგომა კი არ ითხოვა, არამედ მოხსენება გამოგზავნა ინდოეთის ჯარში განზრახულ ცვლილებათა შესახებაო. ამჟამად მთავრობა ამ მოხსენების განხილვაშია. შვეციისა და ნორვეგიის განცალკევების შესახებ შეკითხვაზე, ბალფურმა განაცხადა: თუ კავშირი მართლა დაირღვა და ნორვეგია შვეციას განშორდა, 1855 წ. 5 ნოემბერს დადებული ხელშეკრულობა ბრიტანიასა და შვეციის მეფის შორის ხელახლა უნდა განვიხილოთო.

ვარშავა, 15 ივნისი. გაზ. „კურიერ ვარშავსკი"-ს სიტყვით, ვარშავაში ნოქართა კავშირი არს[illegible] ამხანაგები, სწავლა-განათლების გზა მისცეს, მოხუცნი და უბედურ შემთხვევით დაშავებულნი ნივთიერად უზრუნველ ჰყოს.

კონსტანტინოვსკი, 15 ივნისი. სანტურინოვის ბოთლის ქარხანაში ამ შვიდის კვირის წინად დაწყებული გაფიცვა დასრულდა. მუშებმა საქმეს ხელი მოჰკიდეს.

ელიზავეტგრადი, 15 ივნისი. გუშინ საბჭომ მოისმინა ხელმწიფის მიერ ერობათა და ქალაქის მოღვაწეთა მიმართ ნათქვამი სიტყვა და დაადგინა: უქვეშევრდომილესი მადლობა გამოუცხადოს და ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევაზე იშუამდგომლოს. ერობათა და ქალაქების მოღვაწეთა მოსკოვში კრებაზე დასასწრებლად ხმოსანი ვოლოხინი აირჩიეს.

მორშანსკი, 15 ივნისი. ხმა დადის, რომ გაგრის ვოლოსტის ერთის მებატონის მამულში არეულობააო. სიმბირიდან დრაგუნები გაგზავნეს.

პარიზი. „ეკოდე-პარის" სიტყვით, ის სიტყვიერი განცხადება, რომელიც რადოლინმა ნოტის გადაცემას წაუმძღვარა, რუვიეს გერმანიის მხრივ ერთგვარ მიქმედების ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნიაო.

ვენა, 15 ივნისი. რეიხსრატმა 1905 წლის მეორე ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი სავსებით მიიღო.

დონის როსტოვი, 15 ივნისი. „რუსკოე სლოვოში" მოყვანილი ცნობა როსტოვში მეჭის დახვედრის შესახებ დამახინჯებულია. ამორჩეულმა ხმოსნებმა პურ-მარილი პირადად მიართვეს, ნება-დაურთველად მხოლოდ ადრესის მირთმევა აუკრძალეს.

◆

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

15 ივნისი

ტოკიო, 15 ივნისი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ხუთი როტისაგან შემდგარი რუსის რაზმი ექვსი ზარბაზნით, 13 ივნისს, ჩინჩიატიენთან გამოჩნდნენო. რუსები ჩრდილოეთისკენ გავდევნეთო.

ხაზლუჩენი, 15 ივნისი. 5 ივნისიდან 10 ივნისამდე სამალინის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე მთებს ზვერავდნენ. იაპონელებმა ძალიან მცირე წინააღმდეგობა გაგვიწიეს და უკან დაიხიეს. კავამურას არმია ხამალინის სამხრეთით სდგას. რუსის მზვერავ რაზმს უკან დააწევინეს. რუსების დანაკლისი, შედარებით, დიდი არ არის.

პეტერბურგი. რადგანაც საზოგადოებასა და პრესსაში ლაპარაკობენ ჯავშნოსნების „იმპერატორ ნიკოლოზ I"-ისა, „ორიოლი"-სა, „ადმირალ სენიავინ"-ისა და „გენერალ-ადმირალ აპრაქსინ"-ის დატყვევების შესახებ, საზღვაო მთავარი შტაბი იუწყება, კონტრ-ადმირალი ნებოგატოვი და ხსენებულ გემების უფროსები, ტყვეობიდან რუსეთში დაბრუნების შემდეგ,

სამართალში იქმნებიან მიცემულნიო. მათ გაასამართლებენ სამხედრო-საზღვაო სასჯელთა დებულების მე-279 მუხლის ძალით, რომელიც ამბობს: „ფლოტისა, ესკადრისა, გემთა რაზმისა ან გემის უფროსი თუ ფიცს გასტეხს და მტრის წინაშე ბაირაღს დაუშვებს, ან იარაღს დაჰყრის, ან კაპიტულიციაზე დასთანხმდება და არ მოიქცევა ისე, როგორც ამას სამხედრო ღირსება და საზღვაო წესდება მოითხოვს, ჩამოერთმევა ყოველივე ღირსება და სამსახურიდან დათხოვნილი იქმნება, ხოლო თუ მტერს უბრძოლველად დანებდა, ან შეეძლო თავის დაცვა და არ დაიცვა, სიკვდილით იქმნება დასჯილიო.

შანჰაი, 14 ივნისი. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტი ევბე, რომელიც სამი თვე იაპონიაში იმყოფებოდა და ახლა კი აქ მოვიდა, ამბობს, იაპონიაში ომმა ხალხი დაღალაო. ეს გარემოება ხელს შეუწყობს ზავის ჩამოგდებას. ტოკიოში ამჟამად ოცდა ათი ათასი დაჭრილია. თითო მოკლულ სალდათის ოჯახის შენახვა მთავრობას სამასი იენი უჯდება. ამჟამად იაპონიაში ას-ორმოცდა-ათი ათასი სალდათია, რომლებსაც დღე-ღამე სწვრთნიან. ფიქრობენ, რომ იაპონელები სახალინში საველე დივიზიას გადასხამენო.

ვლადივოსტოკი, 15 ივნისი. ნაპირთან მტრის გემები დაინახეს; ფიქრობენ, რომ ნაღმიანი გემებიაო. ხმა დადის, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად ტანგენში ცუსიმის ბრძოლის დროს დაზარალებული იაპონიის გემი მივიდაო. დაღუპულ გემის შესახებ იაპონელები ხმის გავრცელების ნებას არ აძლევენ.

ჰონკონგი, 14 ივნისი. ინგლისის ჯავშნიან გემს „გლორის“ და კრეისერებს „სიუტლეჯისა“ და „ხოგეს“ ბრძანება მოუვიდათ, დაუყონებლივ დაბრუნდნენ ინგლისში. „ხოგე“ ახლა ვეიჰაივეიშია.

სიტიაძი, 15 ივნისს. იაპონელები 12 ივნისს მარცხენა ფრთეს და შუაგულ პოზიციებს ზევრაავდნენ. იანძილინის უღელტეხილზე მათ აქაიქ იერიში მოჰქონდათ რუსებზე. მათ დამხმარე ჯარი მოსდით თანდათან, საქმეში არტილერიაც მონაწილეობას იღებდა. რუსების მარცხენა ფრთეზე ძლიერი შეტაკებაა.

ხარბინი, 15 ივნისი. ლიმონის სიმჟავე მეტად საჭიროა და არსად არ არის, თვით ხარბინშიაც კი.

ტოკიო, 15 ივნისი. ოფიციალურ ცნობების თანახმად, რუსების 5 როტა შანგიატუნის მიდამოებზე იერიშით მოვიდა, მაგრამ იაპონელთა ცხენოსან ჯარისაგან უკუქცეულ იქმნა.

ჩიტა, 15 ივნისი. ინგონდაკუკასთან საქონლის მატარებელი დაიმსხვრა. მიმოსვლა ერთი დღით შეჩერდა. ქალაქში არ არის ხორცი. საქონელი ქალაქში არსაიდან აღარ შემოდის.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მოხერხებული ჯაშუში. შორეულ აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა აფიცერმა ერთი საკვირველი ამბავი უამბო რუსეთის გაზეთების თანამშრომლებს: ერთ სოფელში, სადაც ჩვენი პოლკი იდგა, ჩინელი ჯამბაზი მოვიდა. ჩინელი ისეთი მარდი და ყოჩაღი რამ აღმოჩნდა, რომ ყველა ასიამოვნა და საკმაო ფულიც იშოვა. მერე, როცა წარმოდგენა გათავდა, ჩინელმა გვთხოვა, მოწმობა მომეცით, რომ კარგი ჯამბაზი ვარ და ზედ პოლკის შტაბის ბეჭედი დაარტყითო. ეგ ძალიან მიშველის,—ამბობდა ჩინელი,—და სხვა პოლკებთან მისვლას გამიადვილებსო. ჩვენ სურვილი ავუსრულეთ და ბეჭედ-დარტყმული მოწმობა მივეცით. ჩინელი მეორე სოფელში წავიდა, იქ მდგომ პოლკისგანაც აიღო ბეჭედ-დარტყმული მოწმობა და ამრიგად მთელი პოზიციები დაიარა. ჩინელმა შეაგროვა ოფიციალური და მართალი ცნობები იმის შესახებ, თუ რომელ პოზიციაზე რამდენი ჯარი სდგას და იაპონელთა შტაბს ჩააბარა. იაპონელებმა ამით, რასაკვირველია, შესაფერად ისარგებლეს და ხელმეორედ გამოგვიგზავნეს ჩინელი, მაგრამ მისი ეშმაკობა გაიგეს, დაიჭირეს და ჩამოახრჩვეს. ჩინელმა ჩამოხრჩობის წინა დღეს ყველაფერი აღიარა, მაგრამ გვიან-ღა იყო (რ. ს.).

მანჯურიაში. „ნ. ფრ. პრესსე“-ს სამხედრო მიმომხილველი ამტკიცებს, ლინევიჩი უბრძოლველად დაიწევს ხარბინისკენაო. ეს იქიდან სჩანს, რომ უკანასკნელ დროს ხარბინსა და სუნგარის ნაპირებს რუსები გაფაციცებით ამაგრებენო (რ.).

„სტანდარტ“-ის კორესპონდენტი ბრძოლის ველიდან იუწყება: რუსების იმ რაზმებს, რომელთაც რკინის გზის აღმოსავლეთად ეჭირათ პოზიციები იაპონელებმა იმდენად დიდ მანძილზე დააწევინეს უკან, რომ გენ. კუროკი თითქმის გვერდიდან მოექცა რუსების ცენტრს. იაპონელების მარცხენა ფრთე აქამდის ფაკუმინთან იდგა, ეხლა კი 40 ვერსით წაიწია წინ და დღეს თუ ხვალ იერიშს მიიტანს შანმიატუნზე, სადაც რუსებს აუარებელი სამხედრო მასალა და სურსათ-სანოვაგე აქვთ მოგროვილი. შანმიატუნს რუსებისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც სინმინტინს ჰქონდა მუკდენის ბრძოლის დროს. აღმოსავლეთით გენ. კავამურა ხაილუნჩენიდან განუწყვეტლივ წინ მიიწევს და რუსებს გირინისკენ მიერეკება. ცხადია, რომ გენ. ნოგი ამჟამად რუსებს დასავლეთიდან უვლის და, შეიძლება, დღეს თუ ხვალ გენ. მიშჩენკოს უკანიდან მოექცეს. გირინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდგომი გენ. კავამურას ჯარი რუსების მარცხენა ფრთეს ემუქრება. იაპონიის მეექვსე არმია გენ. ხასეგავას უფროსობით ჩრდილოეთ კორეიდან მოდის და, შეიძლება, რუსებს ზურგიდან მოექცეს. ამ რიგად რუსები თითქმის ეხლავე მომწყვდეულნი არიან, ერთი-ორი კვირის შემდეგ კი ისე გაუჭირდებათ საქმე, რომ იქნება უკან დასახევი გზაც აღარ ჰქონდეთ.

რამდენი ჯარი ჰყავს მარშალ ოიამას. რუსეთის ოფიციალური სამხედრო გაზეთი „რუსინვალიდ“-ი ასე ანგარიშობს იაპონიის ჯარის რაოდენობას ბრძოლის ველზე: 1-ლი არმია გენ. კუროკისა, რომელიც მთავარ ლაშქრის მარჯვენა ფრთეს შეადგენს, დაახლოვებით შესდგება 104—108 ბატალიონისგან, რაიცა შეადგენს 115—120 ათას კაცს. არმია მარშალ ოკუსი, რომელიც მარცხენა ფრთეს შეადგენს, შესდგება 100—104 ბატალიონისაგან, ე. ი. 110—115 ათასი კაცისაგან. არმია [illegible]მელიც ერთ და იმავე დროს ცენტრიც არის და მოწინავე რაზმიც, შესდგება 45 ათას კაცისაგან. მესამე არმია გენ. ნოგისა, რომელიც უკიდურეს მარცხენა ფრთეს შეადგენს, შესდგება 85—90 ათასი კაცისაგან. მეხუთე არმია გენ. კავამურასი, რომელიც განაპირა მარჯვენა ფრთეზე სდგას, შესდგება 70—80 ათას კაცისგან. ახალი არმია გენ. ხასეგავასი, სულ ცოტა 80—85 ათასი კაცისაგან მაინც უნდა შესდგებოდეს. ამ რიგად ეხლა მარშალ ოიამას ბრძოლის ველზე 550—600 ათასი მომზადებელი და ბრძოლის ქარ-ცეცხლში გაწვრთნილი მეომარი ჰყავს (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

მოსკოვი, 16 ივნისი. შეიკრიბა 125 წარმომადგენელი. კავკასის წარმომადგენლები მოვიდნენ ტფილისიდან, ქუთაისიდან, კავკავიდანა და ნოვოროსსისკიდან. პოლონეთსა და ფინლიანდიას წარმომადგენლები არ გამოუგზავნია. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გოლიცინი. ჯერჯერობით მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: **უზრუნველყოფილ იქმნეს ხალხის წარმომადგენლობის მოწვევა კონსტიტუციონალურ ნიადაგზე, პოლიტიკურ დამნაშავეთ თავისუფლება მიენიჭოთ და გამოცხადდეს, რომ ბულიგინის პროექტი სრულიად არ შეეფერება საზოგადოების მოთხოვნილებას.**

ქუთაისი, 16 ივნისი. **გუშინ საბჭოს კრებამ მიიღო განსაკუთრებულ კომისიის-მიერ შემუშავებული მოხსენება ავტონომიის შესახებ და გადასწყვიტა, მცირეოდენ შეცვლის შემდეგ, ეს მოხსენება მინისტრთა კომიტეტს წარუდგინოს.**

აბრეშუმის პარკი დღეს ფუთი 14 მანათად ფასობს.

ახალი ამბავი

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს, თ-დ ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანს, ნამესტნიკისთვის უთხოვნია, 31 მაისს მომხდარ **ინციდენტის გამო დანიშნულ კომისიის მოხსენება უცვლელად გამოაქვეყნეთო.** (ტ. ლ.).

✦ პეტერბურგში მომხდარ ჟურნალისტთა კრებაზე **პოლონეთისა, კავკასიისა, ლატიშთა, ებრაელთა და ფინლიანდელთა წარმომადგენლებმა წრე შეადგინეს.** წრემ სასურველად მიიჩნია—პეტერბურგის რომელიმე დიდი გაზეთი შეესყიდნა ან საკუთარი საერთო გაზეთი დაეარსებინა რუსეთის განაპირა ქვეყნების საჭიროებათა გამოსათქმელად. პირველად მოუხერხებლადა სცნეს ამ აზრის განხორციელება. ახლა კი, როგორც „ბირჟ. ვედომ.“-ი იუწყება, ეს აზრი თანდათან ფეხს იკიდებს და ახლო მომავალში ეს შეერთებული წრე რუსეთის განაპირა ქვეყნების ჟურნალისტთა თავის საერთო ორგანოს იქონიებს, რომ რუსეთის ხალხს გააცნოს ამ ქვეყნების ყოველმხრივი მდგომარეობა (ნ. დ.).

✦ ოთხშაბათს, 15 ივნისს, **კუკიის სამისიონერო ეკლესიაში შესდგა კრება**, რომელსაც რკინის გზის სახელოსნოების მუშების ერთი ნაწილიც დაესწრო, რიცხვით 800 კაცი. როცა კრება გათავდა და მუშები სახლში ბრუნდებოდნენ, ნაძალადევში, რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების სავაჭრო დუქანთან, ერთ მუშას, [illegible]რი დანა ისე მძლავრად ჩაჰკრა გულში, რომ იქვე გარდაიცვალა. ამავე ღამეს მოჰკლეს მეფეჩე რკინის გზის სახელოსნოებისა სეჩენოვი. სეჩენოვიც დაიარებოდა სამისიონერო ეკლესიაში. ამავე საღამოს ვაგონების ამქრის ბრიგადირს ბორშჩოვს, როდესაც იგი კრებიდან ბრუნდებოდა, ერთის სახლის ბალჩიდან სროლა აუტეხეს. ბორშჩოვმა ოთხჯერ გასცა პასუხი. უცნობს ტყვია შეილოლია და ხევში ჩაეშვა, სადაც იგი კაზაკებმა და პოლიციელებმა ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს.

✦ დღეს, 17 ივნისს, საღამოს მატარებლით პეტერბურგს მიემგზავრებიან **საქართველოს ეგზარხოსი და სემინარიის რექტორად ყოფილი ნიკანდრი.**

✦ მთავრობას აზრად ჰქონია თურმე, რომ **დონის ოლქიდან ამიერ-კავკასიაში გადმოესახლებინა 1200 სული კაცი.** მაგრამ ახლა, როგორც „რაზსვ.“-ი გადმოგვცემს, ეს საქმე შეუჩერებიათ, რადგან ნამესტნიკს უცნობებია, ეხლანდელი დრო ხელს არ უწყობს გადმოსახლებასო.

✦ **ბათომიდან გვატყობინებენ:** ამას წინად ხმა გავრცელდა, აჭარაში მცხოვრებ მაჰმადიანებს განუცხადებიათ, ბათომი ჩვენ გვეკუთვნის და ქარხანა-ფაბრიკებშიაც მხოლოდ ჩვენ უნდა ვიმუშაოთო. ამის გამო, 11 ივნისს, ბათომიდან გაემგზავრა გენერალ-გუბერნატორი ჯამბაკურ-ორბელიანი ბათუმელ საპატიო ბეგებსა და მაჰმადიანებთან ერთად. აჭარის წყალზე ამათ შემოხვდა აჭარელთა დეპუტაცია პურ-მარილით. დეპუტაციას, სხვათა შორის, უთხოვნია: ამას წინად მოკლულის მუფტის მკვლელის აღმოჩენა, მაჰმადიან მცხოვრებთა საჭიროების დაკმაყოფილება და მაჰმადიანთა ძარცვა-გლეჯის მოსპობა.

✦ **ინჟენერ კოგნოვიცკიმ ქალაქის გამგეობას წარუდგინა საჩივარი უსახელო საზოგადოებაზე**,—ვაგონები მოსახვევებში ძლიერ ჭრიალებენ და მცხოვრებთ აწუხებენო. უსახელო საზოგადოებაზე ასეთივე საჩივარი შეიტანეს კავკასიის მუზეის დირექტორმა და „სევერნი ნომრების“ პატრონმა. ინჟენერი კოგნოვიცკი უმტკიცებს გამგეობას, რომ უსახელო საზოგადოებას განსაკუთრებულ მანქანებით შეუძლიან ეს ჭრიალი თავიდან აიცილოს, მაგრამ არა სურსო. მაგალითად, სადაც ტრამვაის დირექციის გამგეობაა, იქ, მოსახვევში, ვაგონები არა ჭრიპინებენო, რადგანაც შესაფერი მანქანა აქვთ დადგმულიო.

✦ ვერაზე, ოლგისა და ბელინსკის ქუჩის მესარდაფეს იაგორ ყაითმაზოვს იმ ახლო-მახლო **უბნის მუშებმა ბოიკოტი გამოუცხადეს.** მუშები თვალყურს ადევნებენ, რომ ბოიკოტი არავინ დაარღვიოს და ყაითმაზოვის სარდაფში ღვინის დასალევად არავინ ჩავიდეს.

✦ ქალაქის ქუჩების მომკირწყვლელ კომისიის წინაშე **ბ-ნი მეხუზლა შუამდგომლობს:** ქალაქის მოსაკირწყლავად ოთხკუთხ ქვას ქალაქს გელათიდან მოვაწვდი და საკუთარ ქარხანასაც გავხსნი გელათში თუ ქალაქი ორ მილიონ ოთხკუთხ ქვას დაიკვეთავს, თითო ქვას 12 კაპეიკად დაგითმობთო.

✦ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის განკარგულებით, **1905—1906 წლის განმავლობაში კავკასიაში 4 ახალი სამკურნალო უნდა დაარსდეს:** 3 დაღესტნის ოლქში და 1 ყარსისაში, ხოლო 1907—1909 წლამდის ყველა სასოფლო ქსენონები უნდა გადაკეთდეს სამკურნალოებად.

✦ როგორც შევიტყეთ, თერგის ოლქის 223 **ყაბარდოელ ოჯახს მთავრობისთვის უთხოვნია, ოსმალეთში გადასახლების ნება მოგვეცითო.** მთავრობას ნება დაურთავს.

✦ არეშის მაზრიდან „კავკაზ“-ს ატყობინებენ, გოქჩის მაზრიდან მოყრენილმა **კალიამ ნათესი სულ ერთიანად წაახდინაო.**

✦ ბაქოს ლიანდაგზე ჯერაც არ შეუკეთებიათ გზა და **წესიერი მიმოსვლა ერთ კვირაზე ადრე არ დაიწყება.**

✦ უმაღლეს სასწავლებლისათვის გადადებულ თანხიდან 100 ათასი მანათი ქალაქის მეორე **წყლისაყვანის გასამართავად უნდა მოიხმარონ.**

✦ კვირას, 19 ივნისს,—ვეტცელის თეატრში საქველმოქმედო მიზნით, გამართული **იქმნება „აღმოსავლეთური კონცერტი“** თარის და სხვა ინსტრუმენტებზე, ცნობილ დამკვრელ არა ელიაზარიანის ხელმძღვანელობით. კონცერტში მონაწილეებას მიიღებენ თარისა და ქიანურის გამოჩენილი დამკვრელები. ორკესტრ-ბ-ნ შესდგება 30 კაცისაგან. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები გაიყიდება შაბათს და კვირას, საღამოს 6 საათიდან.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მურჭის“ № 6, ივნისი 1905 წ.

✦ უსახელო საზოგადოების დირექტორი ქალაქის გამგეობას 400 ათას მანათს სთხოვს შუაბაზარზე ლიანდაგის გასაყვანად.

✦ როგორც გავიგეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ინიშნება ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მღვ. ი. ბუტირსკი, ხოლო სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ინიშნება ამავე სასწავლებლის ბერძნულ ენის მასწავლებელი ი. ს. გრეკოვი.

✦ ახალ სენს „მენინგიტს“ ქალაქ ტფილისში უმსხვერპლია მიხეილის საავადმყოფოში 5 კაცი, ქალაქის თავშესაფარში 4, მეოთხე ნაწილში 4, მესამეში—6 და მეორეში—1.

✦ ვორონცოვის ქუჩაზე ამ დღეებში გარდაიცვალა 165 წლის მოხუცი, ანანუმ-კარაკალო-ვიზი. ჯვარის მამის ეკლესიის მოძღვართან ამ ჟამად ცხოვრობს 112 წლის მოხუცი მარიამ ადხაიშვილისა.

✦ როგორც პირაქეთ ხევსურეთიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში რამდენიმე შეიარაღებული ქისტი თავს დასხმია ხევსურებს და სოფელ ბარისახოდან წაუსხამთ გოგოთურ ჭინჭარაულისა და სხვა ხევსურების საქონელი. ხევსურები დასდევნებიან ქისტებს და სოფელ დებაისკართან დასწევიან. ხევსურებს მოუკლავთ 3 ქისტი და საქონელიც წაურთმევიათ. ხევსური არავინ მომკვდარა. მსუბუქად დაჭრილა მხოლოდ ერთი.

სადღეისო

გვიშველეთ, ვიღუპებითო!

ყვირილი მომესმა... გამწარებით იძახდა ვიღაცა:

— გვიშველეთ, ვიღუპებითო!

შევწუხდი, გავექანე საშველად, მეგონა, ეგება მოკლეს ადამიანი, ავაზაკები თუ გაჩნდნენ ტფილისში?..

ხალხი ბუზივით ირეოდა,—საშინელი „გვიშველეთ“ კი შორს ისმოდა, ცის კიდურამდის გადადიოდა...

რა მოხდა ასეთი?

ვინ ყვიროდა ასეთი გამწარებული?

—

ყვიროდნენ „მამები“...

ყვიროდნენ იმიტომ, რომ შორს ცის კამარაზე ახალ ცხოვრების სხივი გამოჩნდა მოულოდნელად...

დღემდის თვითმპყრობელ ბატონებივით განაგებდნენ ყველაფერს,—გამკითხველი არ სჩანდა არსად...

ძლიერ ფარივით იფარავდა მათ „ცენზი“, რომელიც მცირე ჯგუფს აბატონებდა და ამ ჯგუფის ხელში ხალხის ბედ-იღბალს აგდებდა...

შეეჩვივნენ ამ ბატონობას და ახლა, როდესაც მათ გვერდში ამოუდგნენ სხვა ელემენტები, ყვიროდნენ:

ფელეტონი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაცია

(სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს პროექტის გამო)

შინაურ მართვა-გამგეობის ორგანიზაცია.

ახლა შევუდგებით პროექტის მეორე ნაწილის გარჩევას, რომელიც სკოლის შინაურ მართვა-გამგეობის ორგანიზაციას შეეხება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ პროექტის პირველი ნაწილი სკოლის სწავლა-აღზრდის საქმეს არსებითად სცვლის, როგორც ეს წინა წერილში ნათქვამიდანა სჩანს, პროექტის მეორე ნაწილი სრულიად ახალ საფუძველზე ამყარებს სკოლის ყოფა-ცხოვრებას.

აქაც ცალ-ცალკე უნდა დავასახელოთ პროექტის 1-ლი, 2, 3, 7, 8, 11, 12 და მე-13 თეზისები. ამ თეზისებით, მასწავლებელს კვირაში უნდა ჰქონდეს არა უმეტეს 18 გაკვეთილისა და ამაში უნდა მიიღოს 2,700 მანათი წელიწადში; უნდა იმსახუროს 15 წელიწადს და მიიღოს სრული პენსია 1200 მანათი; მასწავლებლად ქალებიც უნდა მიიღებოდნენ; სწავლის ფასი და აგრეთვე პანსიონი უნდა მოისპოს და სხვ., და სხვ.

ყველა ეს მეტად სასურველია და სწორედ რომ კიდეც გააუმჯობესებს სკოლის მდგომარეობას, მხოლოდ ამის შესასრულებლად საჭიროა ბევრი ხელის მომმართავი გარემოება და, მათ შორის, უპირველესად ნივთიერი სალსარი. აქ განსაკუთრებით ერთ გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება: პროექტის ძალით, მასწავლებელმა 15 წელიწადი უნდა იმსახუროს, მერე კი სამსახურს უთუოდ თავი უნდა დაანებოს. რით უნდა აეხსნათ ასეთი მოთხოვნილება? იქმნება საპედაგოგო სამსახურის სიმძიმით, როგორც ამას პროექტის ავტორები ამბობენ? გადაჭარბებულად მიგვაჩნია ასეთი მოსაზრება, თუმცა, რასაკვირველია, საპედაგოგო სამსახური მძიმეა. საზოგადოდ ამ მოღვაწეობას იწყებენ 25—26 წლისანი. გამოდის, რომ 40 წლისამ უთუოდ უნდა დაანებოს თავი სამსახურს. მაგრამ ამ ხნოვანებაში ძლიერდება ადამიანის ყოველი ძალა, თუ კი მართლა ჰქონდა მას ეს. ისიც არ უნდა დაევიწყოთ, რომ ყველა ერთნაირად არ იღლება საპედაგოგო შრომით: ერთი უფრო ადრე, მეორე უფრო გვიან. მით უფრო ნაკლებ დაიღლება ჩვენი სკოლის მასწავლებელი, როცა იმას კვირაში 18 გაკვეთილი ექნება, ე. ი. დღეში 3 საათის მუშაობა, როგორც თხოულობს ამას პროექტი. ამასთან მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ნიჭიერი მასწავლებელი ყოველთვის ცოტა ყოფილა და ახლა ხომ სანთლით საძებარია და ჯერ მაინც არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ შემდეგში მრავალი გვეყოლება. ამიტომ ჩვენ უნდა ძლიერ ვაფასებდეთ ნიჭიერსა და თავის საქმის მოყვარულ მასწავლებელს და არ უნდა ვდევნიდეთ მას. გაცილებით უფრო უკეთესი იქნება, ჩვენის აზრით, რომ მასწავლებელი ათის წლის სამსახურის შემდეგ შევასვენოთ ერთი-ორის წლის ვადით იმ განზრახვით, რომ ამ დროის განმავლობაში იგი გაემგზავროს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და ცოდნა შეივსოს. რასაკვირველია, ამ დათხოვნის დროსაც ჯამაგირი უნდა ჰქონდეს. თუ ეს წესი ჩვენს სკოლაში განხორციელდება, იმ შემთხვევაში სამსახურის ვადა, შეიძლება, მეტიც იყოს და არა ნაკლები დღევანდელზე. რაც შეეხება იმას, დარჩეს თუ არა მასწავლებელი სამსახურის ვადის შესრულების შემდეგ, ეს უნდა გადასწყვიტოს ყოველ შემთხვევაში ცალკე, მასწავლებლის ღირსების მიხედვით, იმ დაწესებულებამ, რომელსაც მასწავლებლის მოწვევის უფლება ექნება.

პროექტის უმთავრეს ნაწილს შეადგენენ: თეზისები მე-4, 5, 6, 9, 10 და მე-14. ამ თეზისებით პედაგოგიური საბჭო სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იქმნეს სკოლის ყოველსავე საქმეში, აგრეთვე სკოლის გამგისა, მასწავლებლისა და სხვა მოსამსახურეთა არჩევაში. პროექტის ძალით, პედაგოგიური საბჭო პასუხს აგებს არა გამგე კომიტეტის წინაშე, როგორც დღესაა, არამედ წინაშე ტფილ. გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლო მოსწავლეების დამხმარებელი საზოგადოებისა, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება ხოლმე. კრება ისმენს წლიურ ანგარიშს, რომელსაც პედაგოგიური საბჭო წარუდგენს; კრება მოიწონებს ან უარ-ჰყოფს ამ ანგარიშს და ამით ნდობას ან უნდობლობას უცხადებს პედაგოგიურ საბჭოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში „საბჭოს წევრნი, თუ ამას საჭიროდ დაინახავენ, in corpore სკოლაში სამსახურს თავს ანებებენ და საზოგადო კრება ირჩევს ახალს მასწავლებლებს თავის სასკოლო პროგრამის განსახორციელებლად“, მაგრამ საზოგადოებამ რომ იცოდეს, რა ხდება სკოლაში წლის განმავლობაში, პედაგოგიური საბჭო საჭიროდ სცნობს, ამის კრებას პრესსის წარმომადგენელნი და გამგე კომიტეტის წევრნიც დაესწრნენ, მხოლოდ—სათათბირო ხმის უფლებით. გარდა ამისა, საბჭო იწვევს თავისს კრებებზე იმ მშობლებს, „რომელთა შვილების ბედ-იღბალი უნდა გადაწყდეს ამა თუ იმ კრებაზე“. ამ შემთხვევაში მშობლებს გადამწყვეტი ხმის უფლება ეძლევა. ახლანდელი გამგე კომიტეტი, პედაგოგიურ საბჭოს აზრით, „დარჩება მხოლოდ სარევიზიო და მეთვალყურე ორგანოდ, რომელიც, საჭიროების მიხედვით, წარუდგენს თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას თავისს მოსაზრებას სკოლის მდგომარეობის შესახებ“.

ჩვენ სრულიად ვცნობთ პედაგოგიურ საბჭოსა და თითოეულ მისის წევრის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პრინციპს. ამ პირობების გარეშე ყოვლად შეუძლებელია სკოლის ნორმალური მდგომარეობა, რომელსაც თვით პროექტიც სამართლიანად აღნიშნავს. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არ არის არც ერთი ისეთი პრინციპი, არსებითად გონიერული და სამართლიანი, რომელიც არ სპობდეს ხოლმე თავისს თავს, თუ ჩვენ ამ პრინციპს უკიდურესობამდე მივიყვანთ.

შორს რომ არ წავიდეთ, ერთი მაგალითი მოვიგონოთ, რომლის მოწამეც ჩვენ ვიყავით ამ მოკლე ხანში. საფრანგეთის რესპუბლიკამ, რომლის დროშაზე აღბეჭდილია **თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა**, თავისის სამინისტროს პირით სასტიკი ომი გამოუცხადა სასულიერო კონგრეგაციებს და ამათი სკოლების დახურვა განიზრახა. კლერიკალები ერთხმად აყვირდნენ და წინააღუდგნენ თავისუფლების ამგვარ გთელვას. ამაზე კომბის სამინისტრომ და მისმა მომხრეებმა სამართლიანად მიუგეს: არა, ცდებით! ჩვენ თავისუფლების პრინციპს არ ვარღვევთ,—პირიქით, იმისავე სახელით გებრძვით; თავისუფლებას ჩვენ ვიცავთ, სანამ თვითონ იგი თავისს თავს არ მოსპობს; თქვენ კი ბოროტად სარგებლობთ იმითი, რომ ნება გაქვთ სკოლებში თავისუფლად ასწავლოთ და ამ გზით მოზარდ თაობას ზრდით წინააღმდეგ დღევანდელის წესწყობილებისა, რომელიც თავისუფლებაზეა დამყარებული, ზრდით იმ განზრახვით, რომ აღადგინოთ ძველი წყობილება და ეს ხომ სრულიად სპობს ყოველსავე თავისუფლებასო. სამინისტრომაც გაიმარჯვა და, ვინც პროგრესის თაყვანისმცემელია, ყველა ალტაცებით მიეგება ამას.

ჩვენ გვგონია, როცა ტფილ. სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგიური საბჭო თავისს მოქმედების დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას იცავს და ეს უკიდურესობამდე აჰყავს, ამითი თავისუფლების პრინციპს თვითონვე სპობს. აბა, ვნახოთ, მოხდება თუ არა ასე.

ვსთქვათ, პედაგოგიური საბჭო ოქტომბრის დამლევს შეიკრიბა, რომ წინა ორი თვის სწავლა-აღზრდის შედეგი გაითვალისწინოს. მასწავლებელმა თუ აღმზრდელმა მოახსენა საბჭოს, რომ ესა და ეს მოწაფე სკოლაში ვეღარ დარჩება, რადგან ცუდად მეცადინეობს და ყოფაქცევაც არ უვარგაო; ეს ცუდი ყოფა-ქცევა, შესაძლებელია, იმაში გამოიხატა, რომ მოსწავლემ თავისს ამხანაგს კალმის ტარი მოჰპარა. საბჭომაც ეს განცხადება შეიწყნარა და, ხმის უმეტესობით, ბავშვი სკოლიდან განდევნა. პროექტის ძალით, პედაგოგიური საბჭო საბოლოოდ სწყვეტს ყველა საკითხს. არა გვგონია, ბევრი დამტკიცება უნდოდეს იმას, თუ რა საშინელი უსამართლობა იქმნება საბჭოს ზემოხსენებული დადგენილება. ამისთანა ამბები კი ჩვენს სკოლებში არა ერთი და ორი ხდება. მერე რა უნდა ჰქნას საბჭოს უმცირესობამ, რომელიც ამისთანა შეუსაბამო დადგენილებას არ ეთანხმება? უნდა დამორჩილდეს, რადგან პროექტი ამისთანა შემთხვევისათვის არავითარ უფლებას არ აძლევს მას. უღონოა ამ საქმეში მოსწავლეცა და გამგე კომიტეტიც, რომელსაც ნება არა აქვს რჩევის დადგენილება შეაჩეროს. ვსთქვათ, კომიტეტმა წლის ბოლოს მოახსენა საზოგადო კრებას თავისი მოსაზრება ამის შესახებ, პროექტი ამ უფლებას აძლევს კომიტეტს. მერე რა? საქმე ამითი არ შეიცვლება: წარსულს ვერ მოაბრუნებ, დადგენილება აღსრულდა და საბრალო ბავშვიც ამის მსხვერპლი შეიქმნა. ნუ თუ ეს თავისუფლების პრინციპის დამახინჯება არ არის? რად გვინდა ამისთანა თავისუფლება, რომელიც პედაგოგიურ საბჭოს თავისსავე საწინააღმდეგო გზაზე ატარებს და საკუთარ დანიშნულებას სპობს. ცხადია, აუცილებლად საჭიროა იმისთანა დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს თავისი veto იხმაროს ზემო აღნიშნულის მსგავს შემთხვევაში. ამისთანა დაწესებულებად უნდა იქმნეს კომიტეტი,—საზოგადოების წარმომადგენელი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მრავალ-რიცხოვან კრებას, როგორიცაა საზოგადო კრება, არ შეუძლიან პედაგოგიურ საკითხების დაწვრილებით გარჩევა, რასაც თვითონ პროექტიც აღიარებს. რადგან ეს ასეა, პედაგოგიურ საბჭოს, რომელსაც სწავლა-აღზრდის გარეშე არავითარი საქმე არა აქვს, არ შეუძლიან პასუხის-მგებელი იქმნეს მთელის საზოგადო კრების წინაშე, ე. ი. ისეთის დაწესებულების წინაშე, რომელიც თავის-თავად უღონოა ასეთ საკითხების გარჩევაში. მაშასადამე, კრებას უნდა ჰყავდეს ისეთი დაწესებულება, რომელსაც სწავლა-აღზრდის გარჩევა-დაფასება შეეძლება და რომლის წინაშეც პედაგოგიური საბჭო პასუხის-მგებელი იქმნება.

პედაგოგიურ საბჭოს მოქმედებაში რომ ზემოხსენებული უსწორ-მასწორობა და სხვა ამგვარი არ იქმნეს, პროექტი ამის კორექტივად ორ საშუალებას ასახელებს: 1) პედაგოგიურ საბჭოს პრესსის წარმომადგენელნი და კომიტეტის წევრნი ესწრებიან, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით; 2) იქვე ესწრებიან ის მშობლები, რომელთა შვილების ბედ-იღბალი უნდა გადაწყდეს ამა თუ იმ შემთხვევაში და ამათ გადამწყვეტი ხმას უფლებაც ეძლევათ. ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ მასწავლებელნი ნაძდვილად მიიღებენ მოწვეულთა გონიერ აზრსა და რჩევას? დამეთანხმეთ, ეს ისეთივე ბიუროკრატიული შეხედულებაა, რომელსაც დღეს რეაქციონერებიც მხარს უჭერენ, თუმცა ესენი იმავე დროს წარმომადგენელთა კრების მოწვევასაც გაიძახიან, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით კი. ეს ისეთი შეხედულებაა, რომელსაც დღევანდელი საზოგადოება ვერას გზით ვერ შეურიგდება. თუ კრებაზე იწვევენ პრესსის წარმომადგენელთა და კომიტეტის წევრებს, უთუოდ გადამწყვეტი ხმის უფლება უნდა მისცენ მათ. სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა შიში, ვითომ მოწვეულნი იმაზე ნაკლებ შეიძლებენ საპედაგოგო საკითხების გარჩევას, იმდენადვე საფუძვლიანია, რამდენადაც შიში ჩვენის ბიუროკრატიისა, რომელიც მთავრობის ძალას ებღაუ-

ეროვნული

— გვიშველეთ, ვიღუპებითო!..

—

სახალხოს სახლის მმართველად არა-ხმოსნებიც იქმნებიანო! ჩვენს გარდა სხვა ვინმეც გამოჩნდებაო ქალაქის მამად!

ორი დრამატიული საზოგადოება, სიფხიზლის და სახალხო კითხვების საზოგადოებები, თვით სახალხო სახლის ამშენებლები... ნუ თუ ამათ სახალხო სახლის უნდა ეკითხებოდეს რამეო?..

რა უნდა დრამატიულ საზოგადოებას იქ, სადაც დრამატიული წარმოდგენები გაიმართება?

რა უნდა სიფხიზლის საზოგადოებას იმ სახლში, რომელსაც სიფხიზლის გავრცელება აქვს მიზნად.

რა უნდა სახალხო კითხვების საზოგადოებას იქ, სადაც ეს სახალხო კითხვები უნდა იმართებოდეს უთუოდ...

რა უნდათ სახლის ამშენებელს, შემომწირველითო...

ჩვენ კი, ჩვენ, ქალაქის ხმოსნებს, ქალაქის მამებს, მხოლოდ ორი ხმა უნდა გვქონდესო, მარტო ჩვენ არ უნდა გვეკითხებოდესო სახალხო საქმე?

და იმის გახსენებაზე, რომ შეიძლება ერთ დროს ცენზიან ხმოსნებს გარდა ქალაქის საქმეებში არა-ცენზიანებსაც მიეცეთ მონაწილეობა, ყვირიან გამწარებული:

— გვიშველეთ, ვიღუპებითო!

—

ეშინიათ!

ეშინიათ იმისი, რომ ყველა ეს დაწესებულება, თვით სახლის ამშენებელიც სახალხო სახლის გამგე კომისიაში თავიანთ წარმომადგენლებად „ხულიგანებს“ დაასახელებენ.

შემომწირველის აზრით ამ კომისიის წევრები უთუოდ ქალაქის „ამომრჩევლები“ ან „ხმოსნები“ უნდა ყოფილიყვნენ...

ამნაირად „მამები“ თავიანთ ამომრჩევლებს „ხულიგანებს“ ეძახიან, ტფილისის მცხოვრებლებს ეუბნებიან:

— შორს ჩვენგან, ხულიგანებო!

,,ხულიგანებს‘‘ აირჩევს წარმომადგენლებად ქართული დრამატიული საზოგადოება, ,,ხულიგანი‘‘ იქნება სომეხთა დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელი, სიფხიზლის და სახალხო კითხვების საზოგადოებათა წევრი...

გესმით ეს სიტყვაა? არ იწყინოთ?.. საზიზღრობაა...

—

ცხარობენ, თათბირობენ იმაზე, თუ როგორ გადაარჩინონ ქალაქი ამ „ხულიგანებს“.

ბოლოს გამოჩნდა მხსნელი:

— ვიხმაროთ ძალაო! ჩვენვე დავასახელოთ კანდიდატები და, ჩვენ დასახელებულებს თუ არ წარმოგვიდგენენ, ნუ დავამტკიცებთო...

— ათასი სხვადასხვა კანდიდატი რომ აირჩიონ, ნუ დავამტკიცებთ...

— ჩვენა ვართ ქალაქის ბატონი და ეს ბატონობა აქაც გამოგვადგება.

— სახალხო სახლი ჩვენსავე ხელში დარჩება და **ჩვენს** ნებაზე წავიყვანთ საქმეს...

— ჩამოვიშორებთ **ხულიგანებსო**...

—

ვაშა ამ კრებულს! თვითმპყრობელობით გაჟღენთილია...

ვაშა ამ კრებულს, რომელიც საზოგადო ძალებს ხულიგანებს ეძახის...

ვაშა მათ,—მოსწონთ თავიანთი თავი, ჩვენისთანა სხვა არ არისო არავინ...

განუკითხველნი ყოფილან წინად და ახლაც ამისავე იმედი ჰქონიათ...

ასე ჰგონიათ, რომ ხალხი ბრმა არის, მათი ფეხთა მტვერი, მორჩილი მონა, რომელიც მათ ბატონობას აიტანს მუდამ...

—

შეშინებულან! ეშინიათ ხულიგანებისა...

ამ სახელით ხალხის ერთგულ მუშაკთ, ხალხის, მშრომელ ხალხის წარმომადგენლებს იხსენიებენ...

ეშინიათ და... მართალნიც არიან იმიტომ, რომ მალე მოვა დრო, როდესაც მოისპობა მათი ძლიერ ფარი, ცენზით არჩევას უარჰყოფს ხალხი და საქმეების ნამდვილი ბატონი შეიქმნება ხალხის უმეტესობა, ისინი, ვისაც ახლანდელი „მამები“ ხულიგანებს არქმევენ...

ეს პირველი ნაბიჯი იყო, პირველი სხივი.

ამ სხივმა დაუფრთხო ძილი ახლანდელ მამებს... ეცნენ, დაახშეს...

მაგრამ პირველ სხივს მეორე მოჰყვება, ნათელი მოეფინება მთელ არემარეს.

და თქვენც, დღეს რო ბატონობთ მედიდურად, მალე, მალე გახდებით იძულებული ადგილი დაუთმოთ იმათ, ვინც ახლა გგონიათ ,,ხულიგანები“.

ჯერ თქვენკენ არის სასწორი, მაგრამ დროა, რომ იყვიროთ.

— გვიშველეთ, ვიღუპებითო.

უცხო.

პრესსა

—

„ახალ მიმოხილვის“ № 130-ში დაბეჭდილია „წერილი რედაქციის მიმართ“ ბ-ნ გ. თ.—ისა, რომელშიაც ეს ჩვეულებრივ ქარაგმებით მოლაპარაკე ადამიანი ამჟამად ჩვენ გვახსენებს და ცილისწამებას გვაბრალებს. ამ ბრალდების გასაგებად და ბ-ნ გ. თ.—ის აღშფოთების დასაფასებლად საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი ამბავი, რომელსაც ჩვენ ამას წინად შევეხეთ („ივ.“ № 99) და „პრესსა“-ში აღვნიშნეთ.

წარსულ კვირის «ახალ მიმოხილვა»-ში ბ-ნმა გ. თ.—მა დაბეჭდა პატარა წერილი, რომელშიც სომეხ-თათართა ურთიერთობას ეხებოდა და, სხვათა შორის, სურვილს აცხადებდა, რომ საჭიროა ადმინისტრაციაში სომხებიც მსახურობდნენო. ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ, რომ აქა-იქ ადმინისტრაციაში თათრებს უჭირავთ ადგილები,—,,ეს კი არაა უბედურება, არამედ ის, რომ მათ (ე. ი. თათარ ადმინისტრატორების) გვერდით სომხებს ვერ ვხედავთო‘‘. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბ-ნი გ. თ.—ი უკმაყოფილოა იმით, რომ სომხებს ადგილებს არ აძლევენ. ცხადია, მისი სურვილია, ადმინისტრაციაში სომხური ელემენტი, რომელიც დღეს შემცირებია ან სულ გამოდევნილი ყოფილა,—გამრავლდეს. ამ დასკვნას გამოიტანს მისი სიტყვიდან ყოველი ჭკუათამყოფელი ადამიანი.

ადმინისტრაციაში სომხურ ელემენტის საჭიროების დასამტკიცებლად ბ-ნი გ. თ.—ი თავის წერილში უარჰყოფდა იმათ აზრს, რომელნიც ამბობენ, რომ ,,საპასუხისმგებლო თანამდებობა მხოლოდ ნეიტრალურ ეროვნებათა წარმომადგენლებს,—ე. ი. რუსებს, ქართველებს და სხვებს, უნდა მიეცეთო‘‘.

თითქო აქამდის ცოტანი ყოფილიყვნენ ეს ნეიტრალური ელემენტები!—სწერს სიტყვა-სიტყვით ბ-ნი გ. თ.—ი.—ნამდვილად კი ეს ელემენტები უძლურნი აღმოჩნდნენ ხალხის სტიქიურ მღელვარებასთან ბრძოლაში. ამ ნეიტრალურ ელემენტთა სისუსტე იქიდან მომდინარეობს, რომ ისინი არ იცნობენ ადგილობრივ ცხოვრებას და უნებლიედ **ემორჩილებიან ადგილობრივ—უმეტეს ნაწილად ცალმხრივ—გავლენას**...

როგორ ფიქრობთ, მკითხველო, რა აზრი გამოდის ამ სიტყვებიდან? ბ-ნ გ. თ.-ს, უეჭველია, სომეხ მოხელეთა გამრავლება იმ მიზნისათვის არ უნდა, რომ ისინი სომეხთათვის მავნებელ „გავლენას“ დაემორჩილონ. სომეხ ადმინისტრატორთა გამრავლებას იგი იმიტომ თხოულობს, რომ ამით—ჰგონია მას—მართვა-გამგეობის მხრივ რაიმე სარგებლობა და შეღავათი მიეცემათ სომეხ მცხოვრებლებს. ასეთის განზრახვით, ე. ი. ხალხის სარგებლობის პრინციპით ხელმძღვანელობს ყოველი მოყვარე თავის ერისა, როცა რაიმე პრაქტიკულ ღონისძიების წინადადებას იძლევა. შეიძლება, განზრახვა ყალბ საფუძველზე იყოს აგებული, მაგრამ ეს სხვა საკითხია, ხოლო თვითონ წინადადება, პატიოსან მისწრაფებით გამოწვეული, უეჭველად ასეთის ხასიათისაა. ბ-ნ გ. თ.—საც სურს,—და ეს სრულიად კანონიერი და მოსაწონი სურვილია,—რომ სომხობას ცხოვრებაში შეღავათი მიეცეს და მშვიდობიანად ცხოვრება შესძლოს. ამ მხრივ, მისი აზრით ადმინისტრატორების შერჩევით დანიშვნას მნიშვნელობა აქვს: თათარი ადმინისტრატორები საჭირონი არიან, მაგრამ სომხებიც უნდა იყვნენო, რადგან მაშინ ეს ორი ელემენტი—ამბობს თვითონ ბ-ნი გ. თ—ი—ერთმანეთს მოქმედებაში ,,გაანეიტრალებენ‘‘ (нейтрализовали бы). დაბიურად რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ თათარმა თათრებისკენ გაიწია, სომეხი სომხებისაკენ გაიწევს და ამგვარად მოხდება ცალმხრივ მისწრაფებათა შეჩერება, მოქმედ პირთა ,,განეიტრალება‘‘. ნეიტრალურ ელემენტებმა კი, ე. ი. სხვა ეროვნების მოხელეებმა თავისი უძლურება დაამტკიცეს,—ბაქო-ერევან-ნახიჩევანში ,,ნეიტრალური ელემენტები‘‘ იყვნენ მოხელეებად და ვერ კი ააცილეს სომხობას სისხლის ღვრა,—და ეს უძლურება იქიდან წარმოსდგება, რომ ისინი ემორჩილებიან ,,ცალმხრივ გავლენას‘‘. მაშასადამე, როცა ,,ნეიტრალური ელემენტები‘‘ არიან გამგებლებად, არ ხდება ცალმხრივ მისწრაფებათ ,,განეიტრალება‘‘, რომელიც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მოხელეებად სომხებიც იქნებიან.

ეს არის ბ-ნ გ. თ—ის აზრი. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ნაჭუჭის დასამტვრევად და ასეთ პაწაწა აზრის გამოსატანად ამდენ მელნის დახარჯვა ხდება საჭირო. ჩვენი ავტორი ჩვეულებრივ ისე მიხვეულ-მოხვეულად დასწერს ხოლმე თავის აზრს, რომ ადვილი საქმე არაა, ავტორს ხელი ისე მაგრად ჩასჭიდოთ, რომ არ გაგისხლტეთ და თავის ნაწერის უარყოფით თავის მართლება არ დაიწყოს.

ერთის სიტყვით, ცხადია, რომ ბ ნი გ. თ.—ი „ნეიტრალურ ელემენტებს“ იმიტომ იწუნებს, რომ ისინი „ცალმხრივ“, ე. ი. სომხების საწინააღმდეგო „გავლენას“ ემორჩილებიან. ჩვენც სწორედ ასე აღვნიშნეთ მისი აზრი „ივერიის“ № 99-ში.

ახლა „ახალ მიმოხილვის“ № 130-ში ბ ნი გ. თ.—ი ქვეყანას არწმუნებს. მე „თათრების ცალმხრივ გავლენის“ გამო კი არ ვიწუნებდი „ნეიტრალურ ელემენტებს“, არამედ, „საზოგადოდ ყოველგვარ ცალმხრივ გავლენაზე ვლაპარაკობდიო“. მოდით და დაიჯერეთ. ერთმა დიპლომატმა სთქვა: ენა იმიტომ აქვს კაცს, რომ თავისი აზრები დამალოსო. იგი დიპლომატი რომ ცოცხალი იყოს, უეჭველია, ბ-ნ გ. თ.—ზე იტყოდა: კალამი იმიტომ აქვს მწერალს, რომ წინად დაწერილი შალოსო.

და ასეთ კაცს, რომელსაც აღარ ახსოვს, თუ რა დასწერა ორი დღის წინად, კიდევ გაბედულობა შესწევს, სხვას ცილისწამება დააბრალოს და „გალიუცინაციებით“ შეპყრობილად დასახოს.

მაგრამ ეს ახირებული კაცი, ალბად, თავის მსგავსად ზომავს ყველას და ჰგონია, რომ ჩვენშიაც აზროვნების ისეთი მექანიზმია, როგორსაც თვითონ არის შეჩვეული...

რუსეთი

—

ცნობილი „მოღვაწე“ **ზუბატოვი** ამ დღეებში პოლიციის მინისტრმა **ტრეპოვმა რამდენჯერმე ინახულა.** დამტკიცდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზუბატოვს „უანგარო მოღვაწეობისათვის“ წელიწადში 5000 მანათი დაუნიშნა (რ.).

✦ ბიუროკრატიული წრეები ფიქრობენ, საერო წარმომადგენლობის გამოცხადების დღეს **პოლიტიკურ რწმენისთვის დასჯილნი გაანთავისუფლონ.** ამით ბიუროკრატიას უნდა თავიდან აიცილოს ანგარიში, რომელსაც მომავალი საერო წარმომადგენლობა მოითხოვს (რ. ს.).

✦ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო არყის დუქნებისთვის ოფიციალურად მიუწერია, **დუქნებში უეჭველად უნდა ჩამოჰკიდოთ მინისტრის კოკოვცევის სურათიო** (რ. ვ.).

✦ ვარშავაში ერთ სახლის სახურავზე წითელი დროშა აუფრიალებიათ. პოლიციას კიბე მიუდგავს სახლისთვის და ერთი პოლიციელი აუგზავნია ბაირაღის ჩამოსატანად. პოლიციელი ის იყო უნდა ასულიყო ზევით, მაგრამ ამ დროს სახურავიდან რევოლვერი უსვრიათ და **პოლიციელი ყირამალა გადმოუგდიათ მეოთხე სართულიდან** (რ. ს.).

✦ მინსკში მთვრალ სალდათებს ებრაელებისთვის განგებ აუტეხიათ ჩხუბი და თოფები დაუშენიათ. **მოკლული და დაჭრილი ბევრია** (ვ.).

✦ მინსკში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის დროს კაზაკები **შუბებსა და ხმლებს ხმარობდნენ,** ქვეითა ჯარი კი თოფებსა და ხიშტებს (რ.).

✦ ბორისოვოში სეირნობის დროს ხალხის ერთმა ჯგუფმა დაიწყო ყვირილი — **„სიკვდილი ჯაშუშსაო“,** ეცა ერთ უცნობს და ძლიერ სცემა (ვ.).

✦ მოგილიოვში მუშებმა დაიჭირეს ჯაშუში და კინაღამ ცემით მოკლეს (რ.).

✦ რიგის **ჟანდარმთა უფროსი** კოშკო ისე მოიღალა გახშირებულ ცემა-ტყეპითა და ხოცვა-ჟლეტით, რომ **ჭკუიდან შეიშალა** (ნოვ.).

✦ მოზირში 26 მაისს საპოლიციო უბნის ზედამხედველი **მოჰკლეს** (ვ.).

✦ მინსკში მძიმედ **დასჭრეს** საერობო უფროსი კაზარინოვი. მკვლელი მიიმალა (ნ.).

✦ ალატირში ერთმა მუშამ მძიმედ **დასჭრა** საპოლიციო უბნის ზედამხედველი სწორედ იმ დროს, როცა ზედამხედველი მუშას ჩხრეკავდა და აკრძალული ფურცლები უპოვნა (რ.).

✦ ბელოსტოკში სამის ტყვიით **მოჰკლეს** მეეზოვე საპოლიციო სამსახურის ასრულების დროს. (ნ.).

✦ 10 ივნისს ვარშავის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე 19 წლის ოკრეისა, რომელმაც მარტში კაზაკებს ყუმბარა ესროლა. ოკრეის **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.** როცა ოკრეი საპყრობილედან სასამართლოში მიჰყავდათ, რამდენიმე კაცმა მისი განთავისუფლება სცადა. ოკრეის ათი სალდათი მისდევდა. ატყდა სროლა. დაიჭირეს ორი კაცი, რომელთაც **ყუმბარები აღმოაჩნდათ** (რ. ვ.).

✦ იმ ქალაქებში, სადაც ბლომად არიან ებრაელები, ქალაქის საბჭოს ხმოსან ებრაელებს მთავრობა ნიშნავს. ამჟამად მთელს რუსეთში **ყველა ხმოსანმა ებრაელმა უარი სთქვა ხმოსნობაზე.** ამის გამო ვილნოს გუბერნატორმა ებრაელებს შეუთვალა, თქვენვე ამოირჩიეთ ხმოსანი ებრაელი და მე დავამტკიცებო. მაგრამ ებრაელებმა უარი შეუთვალეს იმ მოსაზრებით, რომ ებრაელებს, ჯერ ერთი, მოწყალება არ უნდათ და, მეორე—როგორც რუსეთის მოქალაქეთ, ნება უნდა ჰქონდეთ აირჩიონ ყველა, ვისაც კი მოისურვებენ (ვ.).

✦ პოლონეთსა და ბალტიის მხარეში მართლმადიდებელნი ათასობით გადადიან **კათოლიკეთა ეკლესიაში.** ეხლა მალოროსიაშიაც დაწყებულა ეს ამბავი. წარსულ კვირას კიევში ერთ დღეს 35 მართლმადიდებელმა გამოიცვალა სარწმუნოება და კათოლიკეთა ეკლესიაში ჩაეწერა (ვ.).

✦ იალტაში ერთი უცნაური წრე შემდგარა. ამ „საზოგადოებას“ დაუდგენია, მთავრობის წინაშე ვიშუამდგომლოთ, რომ **იალტაში მოსვლა და ცხოვრება აუკრძალოს მაქსიმ გორკის,** ცნობილ მწერალს ელპატიევსკის, სტუდენტებსა და სხვა „არა საიმედო“ პირებს და დაკეტილ იქმნას ადგილობრივი გაზეთი „კრიმსკი კურიერ“-ი (კ. კ.).

✦ მინსკის მცხოვრებნი ისე აღელდნენ და გაბრაზდნენ კაზაკების თავვასულობითა და თავხედობით, რომ ქალაქის საბჭოში თხოვნა შეიტანეს, **კაზაკები მოგვაშორეთ, თორემ ჩვენ თვითონ მოვიშორებთო.** საბჭომ სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, კაზაკები წაიყვანეთ აქედან, თორემ დიდი უბედურება მოხდებაო (რ.).

✦ „ს. ზაპ. კრ.“ ის სიტყვით, **კაზაკების ძალმომრეობამ და თვითნებობამ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა.** საჭიროა მთავრობამ დაუყოვნებლივ ალაგმოს ისინი, თორემ მათმა თავვასულობამ პოლონეთში ლამის აჯანყება გამოიწვიოს (ვ.).

✦ ამას წინად უფაში დემონსტრაცია მოხდა. პოლიციამ 51 კაცი დააპატიმრა, პოლიციაში მიიყვანა, გაროზგა და მერე საქმის გამოუძიებლად 1 თვით დააპატიმრა. მესამე დღეს საპყრობილეში გუბერნატორი მისულა. ერთი ავადმყოფი ქალი გუბერნატორს ფეხზე არ ასდგომია. გუბერნატორი გაბრაზებულა და ურჩი მანდილოსანი ძალით წამოუყენებინებია ფეხზე. სანამ გუბერნატორი ,,კერპ რევოლუციონერს‘‘ ელაპარაკებოდა და არიგებდა, ღონე-მიხდილი ქალი დარაჯებს ეჭირათ და დაჯდომის ნებას არ აძლევდნენ. ეს მანდილოსანი, გუბერნატორის ბრძანებით, ,,კარცერში“ დაამწყვდიეს, სადაც ის კინაღამ გათავებულა. პატიმრებს ძალით გაუნთავისუფლებიათ ავადმყოფი ქალი (ჟ. ვ.).

✦ ,,მოსკ. ვედ.‘‘-ის სტამბაში, **ცენზორის ნებართვით, დაიბეჭდა აუარებელი პროკლამაცია,** რომელიც ,,მართლ-მადიდებელ რუსეთს‘‘ საბრძოლველად იწვევს სტუდენტებისა, ინტელიგენციისა და მუშების წინააღმდეგ. პროკლამაციაში პირდაპირ ნათქვამია, სტუდენტები და ინტელიგენცია ხალხის მტრები, მოღალატენი არიან და ამიტომ უნდა ამოჟლიტოთო. ამ პროკლამაციებს დაუმალავად ურიგებენ ,,ხულიგანებს‘‘ რუსეთის ყველა ქალაქებში (ვ.).

✦ **პრესსის თავისუფლება.** პროგრესიული გაზეთი ,,სევ. ზაპ. კრაი‘‘, რომელიც ერთად-ერთი რიგიანი გაზეთი იყო მინსკში, მთავრობის ბრძანებით, ,,მავნე მიმართულებისა გამო‘‘, შეჩერებულ იქმნა სამუდამოდ (რ. ს.).

✦ დონის როსტოვში არსებობს მსხვილ ბურჟუაზიის კლუბი. ამ დღეებში რამდენსამე კორესპონდენტს უნდოდა ამ კლუბში შესვლა სასადილოდ, მაგრამ ბურჟუებმა არ შეუშვეს, რადგან კორესპონდენტებს **ფრაკები არ ეცვათ.** ბოლოს კორესპონდენტებმა აღმოაჩინეს, რომ ბურჟუაზიის კლუბი ნამდვილი სავაჭრო ყოფილა ქალებისა (რ. ს.).

ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

(16 ივნ.)

კრების დაწყებისთანავე სიტყვას თხოულობს **ვ. ა. სარაჯიშვილი** და ამბობს, რომ წინანდელმა ორატორებმა საკმაოდ გამოარკვიეს, რა უთავ-ბოლოდ ფასდებოდა ქალაქის მამულები. კომისიამ დაათვალიერა ბანკზე დარჩენილი სახლები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გაცემული სესხი მათ ღირებულებას აღემატება და ამ დაფასებათათვის ბანკის გამგეობას არავითარი კონტროლი არ გაუწევია. ჩვენ გვიპასუხებენ, დამფასებელი კომისია განსაკუთრებული ორგანოა და გამგეობა მას კონტროლს ვერ გაუწევს, გამგეობას შეუძლიან მხოლოდ მათგან შემდგარი დაფასების აქტები დაამტკიცოსო. ორატორის აზრით, ვისაც აქვს უფლება გადასინჯოს და დაამტკიცოს სხვის გაკეთებული საქმე, იმას ნებაც აქვს კონტროლი გაუწიოსო. გამგეობის თავმჯდომარე ამბობს, დამფასებლებს რომ კონტროლი გავუწიოთ, ეს უნდობლობის ნიშანი იქნება და [illegible] რად წახდება. რითი ხელმძღვანელობს დღეს დამფასებელი კომისია დაფასების დროს? ბ-ნი ცხვედაძე გუშინ ამტკიცებდა, რომ სახლები უნდა ფასდებოდესო მარტო შემოსავლისა გვარადაო. განა არ შეიძლება, რომ სახლი ისე ზერელად იყოს აშენებული, რომ გრძელ-ვადიან სესხს ვერ გაუძლოს და, სანამ ვადა გავიდოდეს, დაიქცეს? დამფასებელი კომისია პასუხის-მგებელი ორგანო არის, და იმ ბანკს, რომელიც დააარსა (?!) თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ და რომელსაც ოცდა-ათი წლის განმავლობაში სულითა და გულით ემსახურება, ცოტა ფრთხილად უნდა მოექცნენ, რომ სანამ ჭავჭავაძე ცოცხალია, ბანკმაც თავისი არსებობა არ მოსპოსო. შემდეგ ბ-ნი სარაჯიშვილი შეეხო იმ გარემოებას, რომ გამგეობამ გასინჯა კომისიის მოხსენება და არ მოიწონა. ამაზე ორატორმა სთქვა, ჯერ შენს საქციელს უნდა შეხედო კრიტიკულად და მერე სხვისასაო. ჩემის მხრივ, მე დიდი მადლობელი ვარ კომისიისა, რომელმაც საქმე გამოარკვია და ნათლად დაგვანახვა, რა უთავ-ბოლოდ, უყურადღებოდ და უგზო-უკვლოდ ფასდებოდა ქალაქის მამულები. ამბობენ, ეს კრიზისის ბრალიაო. მოხსენებიდან კი ნათლად სჩანს, რომ აქ კრიზისის ბრალი კი არ არის, აქ არის გამგეობის გულ-გრილობა. რომელ საქმესაც კი აიღებთ, ამ გულ-გრილობას ყველგან დაინახავთ. როგორ მოვიქცეთ ახლა?—ჰკითხულობს ბოლოს ორატორი,—რა ვქნათ, რომ ბანკის საქმეები კარგად წავიდესო? გამგეობის თავმჯდომარე ემსახურება ბანკს 30 წელიწადი, გამოცდილი კაცია, უნდა მივაშველოთ მხოლოდ კარგი თანაშემწეები. ამას გარდა, თუ წესდების ძალით გამგეობა დამფასებელ კომისიის საქმეებში ვერ ჩაერევა, უნდა შევსცვალოთ ეს წესდება და დაწვრილებით ჩავსწეროთ ეს მუხლი. **თავ. პ. ა. გრუზინსკი** შენიშნავს, რომ გამგეობასა და რწმუნებულთა შორის—გაუგებრობაა. გამგეობა ამბობს: ჩვენ არა გვაქვს უფლება და არცა გვსურს დამფასებელ კომისიის მოქმედებას კონტროლი გავუწიოთ, სანამ ის დაფასების აქტს არ წარმოგვიდგენსო. იქნება, გამგეობა სცდება, მაგრამ ამგვარ განცხადებას ანგარიში უნდა გავუწიოთო. ის ამბობს, თქვენს მოთხოვნილებას ვერ შევასრულებ, ან სულ გააუქმეთ დამფასებელი კომისია და მისი მოვალეობა ჩვენ გადმოგვეცითო, არა და კომისიის ბრალს ჩვენ თავზე ვერ ავიღებთო. **თავ. ვ. გ. მაჩაბელი.** ბანკში მოსამსახურეთა დაუდევრობაზე იმდენი ითქვა აქ, რომ მე სათქმელი აღარ დამრჩაო.

თავ. მაჩაბელმა ბანკის მოქმედება თავიდან ბოლომდე სამ კატეგორიად დაჰყო. ამგვარსავე გაჭირებულ მდგომარეობაში ყოფილა ბანკი 1884 წელს, ამ წლიდან 96 წლამდე ბანკი გამობრუნებულა ერთის კაცის თაოსნობით (განსვენებულ ივ. გ. მაჩაბელი). რადგან მას მოუთხოვნია, რომ გამგეობა უსათუოდ ადგილობრივ კონტროლს უწევდეს დამფასებელ კომისიას დასაგირავებელ სახლის ნახვით და შემოწმებით. 1896 წლის შემდეგ გამგეობაში იგივე რეჟიმი გამეფებულა, როგორიც წინად. აი, ამ რეჟიმმა—სთქვა თავ. მაჩაბელმა—ერთ ადგილზე ჯდომამა და უგულობამ, მე რა მენაღვლება, ჩემი საქმე არ არის, აი, ამან დაღუპა დღეს ბანკი და 1,300,000 მანათი ზარალი მოგვცაო. თავ. მაჩაბელს მოჰყავს მაგალითი, როგორ დაგირავებულა, ამ ცოტა ხანში, ერთი სახლი. დამფასებელს დაუფასებია ერთი სახლი 148,125 მანათად და წარუდგენია კომისიაში. იქ, კომისიის მაგივრად, ერთი ამხანაგი მიუხმარებია და, დიდი ხნის სჯა-ბაასის შემდეგ, გარდაუწყვეტიათ, ეს ჯამი შეამცირონ და შეუმცირებიათ კიდეც, ამ ფულიდან მოუკლიათ... 25 მანათი და გამგეობაში წარუდგენიათ. გამგეობას დაუმტკიცებია, მიუცია პატრონისთვის 90 ათასი მანათი და ერთი თვის შემდეგ სახლი ბანკს დარჩენია. გამგეობა ბრძანებსო, ამბობს თავ. მაჩაბელი, რომ ბანკის ყველა წევრს აქვს ნება წავიდეს, დასაგირავებელი მამული გასინჯოს და რატომ თქვენ არ წახვედითო. გამგეობა, რომელიც განცხრომაში ბრძანდება, რომელიც იღებს მინისტრის ჯამაგირებს, ჩვენ გვეუბნევა, რატომ თქვენ არ

ქება და არ სწამს, რომ ხალხის წარმომადგენელთ სახელმწიფო საქმეთა გარჩევა შეუძლიანთ.

რაც შეეხება მეორე საშუალებას,—მშობელთა მოწვევას,—ამის ასრულება მეტის-მეტად საძნელო იქმნება: მშობელთა დიდი უმრავლესობა ხომ სოფლად ცხოვრობს და ამათი ქალაქში მოწვევა საძნელოა. ამას გარდა, მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა, ე. ი. ამათი ბედ-იღბლის გადაწყვეტა, წლის ბოლოს ხდება და ყველა ამათი მშობლებიც პედაგოგიურ საბჭოს სხდომას უნდა დაესწრნენ, რაც, ცხადია, ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ დაგვრჩა კიდევ განსახილველი სკოლის გამგისა, მასწავლებლებისა და სხვა მოსამსახურეთა მოწვევის საქმე. ამის უფლებას პროექტი მხოლოდ პედაგოგიურ საბჭოს აძლევს. „ადვილად შესაძლებელია, რომ კომიტეტმა ძლიერ კარგი გამგე და მასწავლებელიც მოიწვიოს, მაგრამ ისიც ადვილად შესაძლებელია, რომ ეს გამგე და მასწავლებელი ვერ შეთანხმდეს დანარჩენ მასწავლებლებთან, ვერ დაიჭიროს მათთან კეთილი განწყობილება საერთო სამოღვაწეოდ და ამრიგად სკოლის საზიანოდ დისჰარმონია შეიტანოს მასწავლებელთა კორპორაციაში“,—ამბობს ამის შესახებ პროექტის მე-6 თეზისი. ვითომ ამის დასამტკიცებლად და კომიტეტის განსაკიცხავად 1-ლ თეზისში სწერია: „ამჟამად, მასწავლებლების მოწვევის დროს, უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ამა თუ იმ კანდიდატის დიპლომს... რასაც... ძლიერ ცუდი და არა-სასურველი შედეგი მოსდევს. ამიტომ... მასწავლებლების მოწვევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატის მხოლოდ პედაგოგიურ ნიჭსა და გამოცდილებას და არა უმნიშვნელო მოწმობას“.

განა ცხადი არაა, რამდენად სუსტი და ერთი მეორის წინააღმდეგია ამისთანა მოსაზრებანი? თუ კომიტეტის მიერ არჩეული გამგე ან მასწავლებელი „ძლიერ კარგია“, რად არ უნდა „შეთანხმდეს დანარჩენ მასწავლებლებთან“ და „დისჰარმონია შეიტანოს“ მათ შორის? ეს იმის ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი იქმნება, რომ თვით კორპორაციის წევრნი თავისს მოვალეობისთვის არ ვარგანან და, როგორც დასნეულებულ ორგანიზმს, ექიმი სჭირიათ. ან რა სოლიდარობაა, მასწავლებელთა მოქმედების რა ერთობაა, რომელსაც ასე მტკიცედ აღნიშნავს პროექტი? რა თქმა უნდა, სოლიდარობა საჭიროა; მაგრამ არც ასე გატაცება ვარგა ამითი, რადგან მხოლოდ ერთად-ერთი სოლიდარობა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულებაში საქმე ნორმალურად მიმდინარეობდეს. ამას ცხადად გვიმტკიცებს ჩვენი ბიუროკრატია, რომელიც მეტად სოლიდარულად მოქმედებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაგვეთანხმეთ, შედეგი არა-სასიქადულო გამოჩნდა. ბრძოლა ყველგან საჭიროა, მაგრამ ბრძოლა გონივრული და იდეური და ამას შეუძლიან საუკეთესო ნიადაგი მოუპოვოს სოლიდარობას.

არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტის იმ მოსაზრებას, რომ „მასწავლებლის მოწვევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატის მხოლოდ პედაგოგიურ ნიჭსა და გამოცდილებას და არა უმნიშვნელო მოწმობასო“. ამჟამად ისე მცირეა პედაგოგიურად მომზადებული და საზოგადოდ ისეთები, რომელნიც სწავლა-აღზრდის მძიმე საქმეს ემსახურებოდნენ, რომ სხვა გზით, თუ არა დიპლომის გარჩევით, მეტად საძნელოა მასწავლებლის მოწვევა; თვით პედაგოგიურ საბჭოსაც გაუჭირდებოდა სხვაფრივ მოქცევა. რა საშუალებით უნდა შეიტყონ ვისიმე პედაგოგიური ნიჭი, თუ არა იმ გზით, რომ ჯერ უნდა მოიწვიონ, მოუსმინონ გაკვეთილები და მერე ასწონ-დასწონონ იმისი ნიჭი და უნარი. შეიძლება, კარგი მეცნიერი იყოს კაცი პედაგოგიაში, მაგრამ მასწავლებლად კი სკოლაში არ გამოდგეს.

თუ ამგვარად ზემოხსენებულ ორსავე მოსაზრებას გონიერი საფუძველი არა აქვს, რის გულისათვის უნდა ჩამოვართვათ დაწესებულების პატრონს,—მთელს საზოგადოებას,—ის უფლება, რომ თავისს სკოლის მართვა-გამგეობა თავისსავე რწმუნებულს ჩააბაროს. არჩევანთა სამართლიანი პრინციპი, რომელსაც პროექტი ასახელებს, სწორედ გაფართოებას თხოულობს და არა შევიწროებას, ე. ი. რომ უფლება საყოველთაო იყოს. ამაზეა ერთიანად დამყარებული რუსეთის თანამედროვე პროგრესიული მოძრაობა. არჩევის უფლება საზოგადოების საკუთრებად უნდა დარჩეს და იგი ირჩევს თავისს წარმომადგენელს—კომიტეტს,—რომელსაც მინდობილი ექმნება უმთავრესი ნამდვილი კონტროლი სკოლის წესწყობილებისა. ამიტომ პედაგოგიურ საბჭოს არ შეუძლიან მიითვისოს ის უფლება, რომელიც მხოლოდ მთელ საზოგადოებას ეკუთვნის.

ამასთან ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, რა უხერხულობას დაჰბადებს სკოლაში ამ პროექტის წესით შემოღებული არჩევანი. ეს უხერხულობა კი მოსალოდნელია, რადგან პედაგოგიურ საბჭოს წევრნი ციით ჩამოსულნი კი არა—ჩვეულებრივი ადამიანები იქმნებიან, ჩვეულებრივისავე უფრო ნაკლულევანებით, ვიდრე ღირსებებით...

ამით ვათავებთ პროექტის მეორე ნაწილის გარჩევას. ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენ უარვყოფთ იმ თეზისებს, რომელნიც პედაგოგიურ საბჭოს მდგომარეობასა და ამ საბჭოს კომიტეტთანა და საზოგადო კრებასთან დამოკიდებულებას შეეხება. ამ მხრივ ჩვენ შევვიძლია დავასახელოთ შემდეგი უმთავრესი მუხლები:

1) პროგრამით დაწესებული მთელი სწავლა-აღზრდის საქმე პედაგოგიურ საბჭოს ხელში უნდა იქმნეს; რჩევის ერთხმივი ან ხმის უმეტესობით მომხდარი გარდაწყვეტილება საბოლოოდ და შეუცვლელად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, თუ ვინმე წევრთაგანი პედაგოგიურ საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგი იქმნა, ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგის საკუთარი აზრი და თვით საბჭოს გადაწყვეტილება კომიტეტს უნდა წარედგინოს. კომიტეტს უფლება აქვს შეიწყნაროს კერძო აზრი და ამით საბჭოს გადაწყვეტილება უარ ჰყოს, ან უკანასკნელი დაამტკიცოს.

2) კომიტეტი უწევს კონტროლს სკოლის ყოფა-ცხოვრებას. კომიტეტის მიერ შემუშავებული სწავლა-აღზრდის წეს-რიგი და საშუალებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნება სავალდებულო პედაგოგიურ საბჭოსთვის, თუ ეს უკანასკნელი იმას მოიწონებს; წინააღმდეგ შემთხვევაში საგანი უნდა განიხილოს კომიტეტის წევრთა, პედაგოგიურ საბჭოსა და მოწვეულ მცოდნე პირთა საერთო კრებამ. კომიტეტი ირჩევს სკოლის გამგეს და გამგე-კი—მასწავლებელს, რომელსაც ამტკიცებს კომიტეტი. სკოლის გამგისა და მასწავლებლის დათხოვნა იმავე წესით სწარმოებს: გამგეს-მიერ შედგენილი და საბჭოს-მიერ მოწონებული წლიური ანგარიში კომიტეტს უნდა წარედგინოს; კომიტეტი პასუხისმგებელია საზოგადო კრების წინაშე.

3) სკოლის ჰყავს ცალკე კომიტეტი, რომელიც განაგებს განსაკუთრებით სამეურნეო ნაწილს ამ კომიტეტს შეადგენენ სკოლის გამგე და ოთხი მასწავლებელი; ამ უკანასკნელთ ირჩევს პედაგოგიური საბჭო განსაზღვრულის ვადით. თავის მოქმედების ანგარიში სამეურნეო კომიტეტმა უნდა წარუდგინოს გამგე კომიტეტს ამ უკანასკნელისავე შემოღებულის წესით.

იაკობ ღულაძე.

წახვედით და არ გასინჯეთო. ჩვენ ჩვენს სკამებზე უნდა ვისხდეთ და აქ, რაც მოხდება, ჩვენი საქმე არ არისო. აი, ეს არის „გულ-ციობა“, რომელსაც სარევიზიო კომისია გამგეობას უსაყვედურებსო.

ექ. გაბაშვილი იმეორებს თითქმის ყველა იმას, რაც სხვა ორატორებმა სთქვეს და დაბეჯითებით თხოულობს, რომ ბანკის წესდება შეიცვალოს, და შეტანილ იქმნას ისეთი მუხლი, რომელიც მოვალედ გახდის ბანკის გამგეობას დამფასებელ კომისიას კონტროლი გაუწიოს. **თავ. ი. აფხაზი** იმეორებს თავ. ი. ჭავჭავაძის სიტყვებს, დამფასებლები ფრთხილად უნდა აირჩიოთო. ბრალს იმდენად დამფასებელ კომისიას არა სდებს, რამდენადაც გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს. საქმეებიდან სჩანსო, რომ სახლები გადაჭარბებულადაა დაფასებული, მოსამსახურენი თავიანთ მოვალეობას დაუდევრად ეკიდებიან, დღეს რას აკეთებენ, ხვალ აღარ იციან, და ამით ბანკი ზარალობსო. დღეს ჩვენ ხელ-მეორედ უნდა ავირჩიოთ გამგეობის ორი წევრი, ჩვენ მათ ღირსეულად დავაფასებთ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ გამგეობის მესამე წევრს, რომელმაც ბაბაევის საქმეში მონაწილეობა მიიღო, დღეს ვერ გავასამართლებთ წესდების 61 მუხლით, რადგან ორი წლიწადი თავის ადგილზე კიდევ არჩეულად უნდა იჯდესო.

ა. ი. კობიაშვილი. აყენებს საკითხს, როგორ ვუშველოთ საქმესო? ის წინადადებას აძლევს კრებას, რამდენიმე ცვლილება მოახდინოს ბანკში, ან გაამრავლოს გამგეობის წევრთა რიცხვი და დაავალოს მას მამულების დაფასება, ან მისცეს უფლება გამგეობას, დამფასებლები თვითონ აირჩიოს და მოსთხოვოს გამგეობას, რომ კანცელარიას მეტი ყურადღებით მოექცეს და რაიმე საშუალებანი მიიღოს, რომ შემდეგში ბაბაევის საქმის მაგვარი აღარ განმეორდეს. შემდეგ ორატორი კრებას უხსნის, რა ბრალი სდევს ამ შემთხვევაში ზედამხედველ კომიტეტს, და ურჩევს, მათი რიცხვი შეამციროს, ათი წევრის მაგივრად აირჩიოს სამ-ოთხი, და კარგი ჯამაგირები დაუნიშნოს, ხოლო დაავალოს, რომ გამგეობასა და დამფასებელ კომისიას ყოველ დღე გაუწიოს კონტროლი, რომ თითო მათგანი ყოველთვის იჯდეს გამგეობაში და თვალყურს ადევნებდეს მის საქმეებს. ამით ჩვენ თავიდან ავიცილებთ ზარალს და ბანკის მომავალ მოღვაწეებს მოვამზადებთო.

კრება გადაიდო საღამოს 8 საათისათვის.

ბიბლიოგრაფია

ალექსი, გამოცემა ი. ლეჟავასი.

ავტორი ორ ნაწილად ჰყოფს მწერლობას: ერთი ხორციელ ვნებათა აღშფოთებას ემსახურება, მეორე სულიერ ვნებათა დამშვიდებას. პირველი წამწყმედია კაცისა, მით უფრო ბერისა, და ამიტომ ჩვენი ავტორი ამგვარ ნაწარმოებს არა კითხულობს; შოთა ხომ „სიბრძნის სალაროა“ და „ენის საუნჯე“, მაგრამ ისიც კი არ უნდა წაიკითხოს, რადგან მის სიბრძნეში დახლართულია „გემო ცხოველთა“. ამგვარად მარტო სასულიერო მწერლობაზე არის აზრდილი ავტორი და ისეთის ტლანქის, ძნელად გასაგებისა და უკან ჩამორჩენილის ენითა სწერს, გეგონებათ, ანტონ კათალიკოზის პიიტიკას იმეორებსო.

ადამიანი, ავტორის აზრით, გაჩენილია მარტო იმისთვის, რომ ყოველი უბედურება და წამება მოითმინოს ამ სოფლად, რათა საიქიოს ეღირსოს საუკუნო განათლებას და ქრისტესთან ამაღ- [illegible] ღმერთს ამ მიზნის მისაღწევად—„მოთმინება“ (გვ. 22).

ავტორს რომ აჰყვეს კაცი, ორმო უნდა გაითხაროს, ჩაწვეს შიგ და გულ-ხელი დაიკრიფოს, მოითმინოს სიმშილი, წყურვილი, დევნა, შეურაცხყოფა, უსამართლობა, გასწიროს ცოლი, შვილი, ტოლი და სწორი, სამშობლო და თავის კაცობა. . უარჰყოს ყოველივე მიწიერი და გადასახლდეს განსასვენებლად წიაღთა შინა აბრამისათა. ღმერთმა დაგვიფაროს! მარტო მოთმინებისთვის და საქაოს უარყოფისთვის რომ გავეჩინეთ, აღარც თავისებურ, ღვთიურ გონებას მოგვანიჭებდა ღმერთი და აღარც გაგვაბატონებდა საწუთროზე. მაგრამ თითონ ავტორსაც ავიწყდება ხანდახან თავისი მოძღვრება და, რა ტანჯულს ერსა ხედავს, დრტვინვას იწყებს:

პური და ღვინო უკურთხე ძველი, (ივერ იას)
შორად განხადე მტერ-მწვალებელი...
დაიცვე სამწყსო შენი წილ-ხდომილ
გარემოდგომილ მხეცებისაგან,
რადა ვერ გვპოვონ გლახაკ-დაჸრდომილ
გვიხსენი გამრყვნელ მგელებისაგან. (გვ. 46).

საქაო ბედნიერება არა სწამს, რადგან ჩვენი ცხოვრება ვარშიჯობად წარმოუდგენია,—ლოცვად და მარხვად საიქიოს მოსაპოვებლად. რომ შეიძლებოდეს, გულს ამოიგლეჯდა, გონებას დაიხშობდა, თვალს ამოითხრიდა და მით მოიკლავდა ცდუნებას. ერთ ლექსში ძროხას შენატრის,—ბედნიერი ხარ, შენ, ძროხავ, რომ არც გონება გაქვს და არც პასუხისგებაო (გვ. 56, ურვილი).

სიყვარული სასჯელად მიაჩნია და სისულელედ;

წესსა დაარღვევს (შეყვარებული), სირცხვილს დაჰკარგავს,
ნამუსს გადისვრის ბნელ უფსკრულშია.
ხან გაჰიკჰიკებს (სიყვარული), ხან გაცუნცრუკებს,
ხან გამუტრუკებს უშნოდ, უმადლოდ,
ხან გაგალორებს, წუმპში გაგორებს,
გაგაპირუტყვებს, დაგსჯის უწყალოდ.

ერთად ერთი ლექსი რჩება მკითხველის სანუგეშოდ—„ომისათვის“. ავტორი ჰგმობს ომს, სისხლის ღვრასა და ადამიანთაგან მოყვასთა ჟლეტას. თუ მტერი შემოესია შენს ქვეყანას, კიდევ ჰო, იძულებული ხარ, იარაღით დაუხვდე; მაგრამ თუ შენ მიდიხარ ნადავლის საშოვნელად, თუ ანგარებისა გამო იწყებ ომს, ავს საქმეს სჩადიხარ, ღვთისა და კაცთაგან გმობილს:

რაც შენ არ გინდა, ძმისთვის რად გინდა,
აბა სიცოცხლეს რად უსპობ ძმასა?
ქრისტეს სიტყვაა: „რაც შენ არ გსურის,
ამას ნუ უყოფ ნურცაღა სხვასა“.

კორესპონდენცია

მეჯვრისხევი (გორის მაზრა), 12 ივნისი. ჩვენებური განთქმული დღეობა „უსანეთობა“ წელს არ იყო ისეთი ხალხ-მრავალი, როგორც ამ დღესას წაულს სჩვევია. დამსწრეთა უმეტესობას შეადგენდა ვაჭარი ხალხი. აქ, ამ დღეობის დროს, დიდი ბაზრობა იმართება ხოლმე მუდამ წლიწადს; ოსებს ჩამოაქვთ ყველი, ერბო, ქათამი, სადღვებლები, ფიწლები, ორთითები, არნადები და საზოგადოდ ხის იარაღი. აქვე მოჰყავთ გასაყიდად ქართლის ყოველი კუთხიდან, ვისაც რა გასაყიდი ოთხფეხი საქონელი ჰყავს, აქა სცვლიან სხვებზე, ან ფულზე ჰყიდიან, ან ყიდულობენ. მაგრამ უმეტესად მყიდველები წადგეჯი ბერძნები და [illegible]. რადგან ამ დროს ქართლის საქონელი გამხდარია, ეს მთის იქითელი ხალხი ეშურება იაფად იყიდოს. წაასხამენ თავის უშველებელ იალაღზე, მთელი ზაფხული ბალახზე ჰყავთ გაშვებული და შემოდგომაზე ქალაქელებზე ერთი-ორად ჰყიდიან. წელს წადგეჯ ბერძნებს კი ყასბებმა გაუწიეს მეტოქეობა: დიდძალი საქონელი იყიდეს და გაირეკეს. ამიტომ წელს, სხვა წლებთან შედარებით, უფრო კარგი ფასი ჰქონდა საქონელსა. არც გორელი ვაჭრები აკლებენ. აქ საზოგადოდ ოსები ყველს მარილზე სცვლიან. ეგ გარიგებაზე ჰკიდია: ერთ ლიტრა ყველში უნდა მისცენ მარილი ექვსიდან არა უმეტეს რვა გირვანქისა. ამათ თავისებური სასწორები აქვთ. მოაგროვებენ ჭალის ქვებს, ეს ლიტრაა. ეს ორიანია, ეს ფუთიაო. წადი და გაუგე. თვით ეშმაკიც მოტყუვდება... აქაურ მებატონეებს დაწესებული აქვთ სულზე ადგილის ქირა ორი შაური. ქირავე აქვთ დაწესებული სავაჭრო ადგილებზე, ვინც ქოხს ჩასდგამს და ვაჭრობას დაიწყებს. [illegible] წელს ნაკლებად იყო, რადგან ადგილობრივმა ბოქაულმა ნება არ მისცა ღვინის გაყიდვისა. მამულის პატრონები უკმაყოფილონი დარჩნენ ამ განკარგულებით,—150 მანათამდე ზარალი მოუვიდათ. არც საქონლის ბაჟის გადახდას აპირებდა ხალხი „ერთობის“ გამო. მაგრამ კვირა დღეს, ასე ათ საათზე, მოისმა კაზაკების სიმღერა. ხალხმა, ცოტა არ იყოს, ყურები ჩამოყარა. კაზაკები ხალხის მოშორებით, მეჯუღის რიყეზე დაბინავდნენ და საღამომდე ფეხი არ მოუდგამთ ხალხში.

ასე, შუადღე იქნებოდა, რომ ხალხში რაღაც ჩოჩქოლი ჩამოვარდა. ხალხი აირ-დაირია, გაანებეს საქონელს თავი და ეცნენ სახლებსა და ვენახებს:—ვიღამაც დაიყვირა: არიქათ, თავს უშველეთ, კაზაკებმა დაგვხოცესო. უპატრონო საქონელი ზოგი საით გაიფანტა, ზოგი საით. მერე გამოირკვა, რომ კაზაკები კი არა, აქაური აზნაურიშვილი დარეოდა ხალხს ხანჯლით: ჩემს ადგილზე გიყენიათ საქონელი და ბაჟის მოცემა კი არ გინდათო. ერთი დაეჭრა, სხვები გაჰქცეოდნენ. ამ დროს გაუჩნდა ერთი გალმახრელი ბიჭი სახრით: „სად გარბიხართ, რო გარბიხართ, თქვე ლაჩრებოო!“ შემოჰკრა სახრე გახელებულ კეთილშობილს და გოგრასავით დასცა ძირს. წაართვა ხანჯალი და რამდენიმე წიხლიც უთავაზა. ამის შემდეგ ხალხი დამშვიდდა და დაუწყო თავის დაკარგულ პირუტყვებს ძებნა.

მეორე დღეს, ორშაბათს, კაზაკები წავიდნენ მეჯვრისხევიდან.

ხმა დაიდოდა, თავად-აზნაურთა რაზმი აპირობს მეჯვრისხევში წასვლას „უსანეთობას“ და, ვისიც ჯავრი სჭირთ, იქ გადაუხდიანო. ამიტომ მოქეიფე ხალხი ძალიან ნაკლებად იყო; უამინდობამაც ხელი შეუშალა. სამი კვირა გამუდმებული სწვიმდა. ხალხი ვერ ენდო ამინდს და ამიტომ [illegible] ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო. რაც შეეხება რაზმის მოსვლას, იმათ აღარ გაუბედნიერებიათ თავის მობძანებით. იყო კი რამდენიმე კაცი, მაგრამ ამველ ხმალამის პურ-მარილი არჩიეს მეჯვრისხევის ტალახიან ქუჩებზე ხეტიალს.

ამას წინად კი იყო აქ ეს რაზმი. განგებ ამოვიდნენ, შეჰყარეს ხალხი, ელაპარაკნენ გლეხობას: ჩვენ თქვენი მტრობა არ გვინდა და არც აზრად მოგვსვლიათ, შეგვერთდით, აი, ჩვენ ნადელებს სულ მუქთად დაგითმობთ, ისე მიწების დალას მეექვსედზე მეტს არ გადაგახდევინებთ, ოღონდ ერთმანეთთან ძმობა გვქონდეს და ერთობაო. ამათგან ისეა გულგატეხილი ხალხი, რომ იმათ სიტყვას არაფერი ყურადღება არ მიაქცია და დაიშალა. რაზმელები კი თავის გზას გაუდგნენ. იმ ღამეს მეჯვრისხევში ბოქაულმა ოთხი კაცი დაიჭირა და გორის საპატიმროში გაისტუმრა. ხალხმა მაშინვე რაზმს დააბრალა, იმათი საქმეა, ბოქაულს იმათ უთხრეს და ჩვენი კაცები დააჭერინესო. ბოქაული კი ფიცულობდა, მე ის კაცები სრულებით სხვა საქმეზე დავიჭირე, რაზმი თვალითაც არ მინახავსო.

უსანეთობა დღეს აქ კიდევ ერთი უბედურება მოხდა. ერთ გლეხს კამეჩი დაუფთხობოდა, ჩამოარბინა ერში. აი, აქედან უკივლეს, იქიდან უშუვლეს, კამეჩი უფრო გააგიჟეს. დაერია კამეჩიც და, ვისაც მოასწრო, სულ აქეთ-იქით ბურთივით ისროდა ხალხი. ბოლოს ერთი ბებერი დედაკაცი წაიგდო ჩლიქებ ქვეშ და სახე სულ გაუჩეჩქა. რის ვაივაგლახით ძლივს გააგდებინეს გაცოფებულ პირუტყვს.

აქეთ მოსავალს კაი პირი უჩანს, თუ არაფერმა ჩამოუყარა. ვენახებიც საღად არის. პირველი წამლობა უკვე გათავდა, თუმცა წვიმებმა კი ძალიან შეუშალა ხელი. გამუდმებულმა წვიმებმა სიმინდები აბალახა და მუშა-ხელი ცოტა დაძვირდა. ახალ მოსავლის მოლოდინში ღვინოები ძაან ფასში დაეცა. წინად, რაც 10—12 მანათად იყიდებოდა კოკა, ეხლა 7—8 მანათად ძლივს იყიდება. ღვინის ფასის დაკლებაზე გავლენა იქონია აგრეთვე განჯა-ერევნის ღვინოებმა. მეტის-მეტად იაფად უჯდებათ ვაჭრებს იქაური ღვინო და, ქართლური ღვინის გაყიდვას, ისევ განჯა-ერევნის ღვინით ვაჭრობას უფრო სახეიროდ სცნობენ, რადგან მუშა-ხელმოკლე ხალხი გემოს კი არ უცქერის, იაფობას აქცევს ყურადღებას და ნაკლები ფასისას ეტანება. ასე თუ ისე, დღეს ქართლში მეღვინეობა ხელსაყრელი აღარ არის, რადგან ფილოქსერაც გაჩნდა, მილდიუ და ნაცარი გახშირდა, ღვინის ფასიც დაეცა და რაღა ხეირი აქვს ვენახის მომუშავეს ამ პირობებში?

აქაურ აზნაურ თულაშვილებს დიდი ტყე და მამული აქვთ მეჯუღის ხეობაზე. მთელი გორის ახლო-მახლო სოფლები იქიდან ეზიდებოდნენ შეშა-ფიჩხს და მუხის მასალას. მაგრამ ახლა ამ „ერთობის“ დროს ოსებმა აღარავინ გაატარეს: „ტყეც ჩვენია და მამულიცო“. თვითონ პატრონი ასულიყო ამას წინად სარის მოსაჭრელად, თავის ვენახისთვის უნდოდა, მაგრამ ოსებს ეცემნათ და ისევ ცარიელი გამოგდოთ.

სოფელ რეხაში, უსანეთობის მესამე დღეს, გლეხს წყალობა მამუკელაშვილს ბაკიდან სამი ცხენი მოჰპარეს. ეს პირველი ქურდობაა ჩვენს მხარეში, რაც ერთობა ჩამოვარდა.

რ. ოდეთ.

—

დ. ცხინვალი, 15 ივნისი, დღეს. დ. ცხინვალი ის აღარ არის, რაც ამ ერთი-ორის წლის წინად იყო. აქ უცბად იფეთქა მოძრაობის ალმა და მდუღარესავით გადაუსხა ყველა ერს. ქართველი, ურია, სომეხი თუ ოსი, ყველა ერთხმად ამოძრავდა, ერთ დონეზე დადგა და, ერთ კალაპოტში ჩამდგარი, წინ მიექანება.

მთავრობასთან ცხინვალელებს ყოველივე კავშირი შეწყვეტილი აქვთ და ყველა საქმეს ამორჩეული ასის და ათის თავები განაგებენ. ვინც მათ არ თანაუგრძნობს და ბიუროკრატიას ემხრობა, ბოიკოტს უცხადებენ. 14-ს ივნისს აქ ერთი ქურდობა მოხდა. ამორჩეულმა კაცებმა ქურდ ბაცაცები მეორე დღესვე შეიპყრეს და დაპატიმრეს. ეს ამბავი ერთ ურიას ბოქაულისთვის მოუხსენებია. ბოქაული კაზაკ-რუსებით გამოქანდა, დაიწყო ქუჩებში თარეშობა და მაღლად გამოკითხვა: ჩქარა მიჩვენეთ ამორჩეული კაცებიო. ბევრს ძალა დაატანეს, ბევრსაც სცემეს, მაგრამ არჩეულთა დასახელებაზე ყველამ უარი განუცხადა: ბოქაული ძალადობით რომ ვერას გახდა, „თავის კაბინეტში“ მიიხმო სათითაოდ „საეჭვო კაცები“ და „ტკბილი“ სიტყვებით დაუწყო გამოკითხვა, მაგრამ... ამ ცდამაც ამაოდ ჩაუარა.

12-ს ამ თვეს გვესტუმრა გორის მაზრის უფროსი თავის თანაშემწით. უნდოდა ხალხი შეეკრიბა მოსალაპარაკებლად. წინა დღით ბოქაულმა კარის-კარ ჩამოიარა და ყველას შეატყობინა: ხვალ მაზრის უფროსი „მანიფესტს“ გამოგიცხადებთ „და ხიდი ყურზე მოგროვდითო“. მეორე დღეს დანიშნულ ადგილას არავინ მისულა. გაჯავრებულმა მაზრის უფროსმა კაზაკები გაგზავნა ხალხის ძალად მოსაყვანად. დუქნები ყველგან დაკეტილი იყო. ქუჩებში ჩამი-ჩუმი არსად ისმოდა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ, ურიების უბანში კაზაკებს ეპოვნათ შვიდი მოხუცებული ურია, კარგა ლაზათიანად ეცემათ და „კრებაზე“ ისე მიიყვანეს. კაზაკების მეორე „პარტიამ“ ხუთი გარეშე სოფლელი ცემა-ტყეპით მიათრია.

მაზრის უფროსი განრისხებული იყო და ძლიერ დაემუქრა ხალხს: მე ვაჩვენებ მათ სეირსაო. ამ ექვს-შვიდ კაცს კი უბრძანა: „მამასახლისი აირჩიეთ და პოლიციასთან დამოკიდებულება იქონიეთო.“ ამ დროს ერთმა მუშამ მოახსენა: „ბატონო, აბა, რად გვინდა ან მამასახლისი, ან „პრისტავი“ და ან სუდიები, მფარველობის მაგიერ, ტყავს გვაძრობდნენ, გვცემდნენ და სამართალს [illegible]. აღარ გვინდა, აღარ, არც მამასახლისი, არც პრისტავი,—ჩვენ საქმეს ჩვენ თითონვე მოვუვლით, ვიდრე ჩვენსას არ გვაიყვანთო.“ მაზრის უფროსი ამ სიტყვებზე უკმაყოფილო დარჩა და მუქარით დაათავა: მამასახლისო, სუდიებო, თქვენ გიბრძანებთ, ყოველივე კავშირი შესწყვიტოთ ხალხთან, საქმეები და მედლები ბოქაულს გარდაეცით და მე ვუჩვენებ შემდეგ მათ სეირსა, მაგათთვისაც მოვიცდიო“.

საღამო ჟამს მაზრის უფროსმა დაათვალიერა ის ადგილი, სადაც ბოქაული ამათუნი დასჭრეს და მეორე დღეს დილა-ადრიან ისევ გორში დაბრუნდა.

ცხინვალში ყოველ კვირაობით დუქნები დაკეტილია. ისე დღეებით დუქნები დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდისა ღიაა.

ახლო-მახლო სოფლის თავად-აზნაურებს ყველას ბოიკოტი გამოუცხადეს ცხინვალელებმაც და სოფლელებმაც და არც ახსნიან, ვიდრე გლეხებისადმი გაზეთის საშუალებით თავიანთ თანაგრძნობას არ გამოაცხადებენ.

ცხინვალის ზოგიერთა ურიებმა ამ მოძრაობას არ თანაუგრძნეს, წინააღმდეგ წავიდნენ. სოფლელებმა სოფლებში აღარ გაატარეს სავაჭროდ, ცხინვალელებმაც განდევნეს და ყოველგვარი კავშირი შესწყვიტეს მათთან, ვიდრე ხალხთან ერთად ყოველგვარ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ქარ-ცეცხლი.

—

სიღნაღი, 10 ივნისი. კიდევ კაცის კვლა, კიდევ უმანკო სისხლი! შვიდს ივნისს ანაგელები დაეცნენ ფანიანელებს სადავო ადგილ ძველ-ანაგაში; ასტყდა ცემა-ტყეპა, ჯოხებისა და ხანჯლების ტრიალი, რასაც შედეგად მოჰყვა ერთის კაცის მოკვლა ფანიანელების მხრივ და ერთის სასიკვდილოდ დაჭრა ანაგელების მხრივ. წვრილმან ჭრილობას ხომ აღარც კი ვანგარიშობთ.

ასეთივე დავა მამულების გამო ატეხილა სოფ. მირზაანსა და ცლუნკაანს შორის. არა სცხრებიან [illegible] და [illegible]. ამას მოჰყვება ეგზეკუცია, მათრახები, დაწიოკება ორთავე მხარისა. დიახ, სულ ასე და ამ სახით ჰკურნავს აგრარულ კითხვებს სამაზრო ბიუროკრატია. როდემდის ასეთი სისხლის ღვრა ძმათა შორის? განა დრო არ არის დარწმუნდნენ ქიზიყელები, რომ მაზრის ადმინისტრაცია მათ მამინაცვლურად ექცევა? ვერ გაიგეს, რომ ამ ადმინისტრაციამ მხოლოდ ერთი გზა იცის მამულებისა და საზღვრების მოსაწესრიგებლად: მათრახი და ეგზეკუცია?!

დროა, ქიზიყი თვით შეუდგეს თავის მოვლას და ზრუნვას. ამისათვის საჭიროა მოწვევა მიწის-მზომელისა და ამის დახმარებით დაყოფა მამულებისა კომლეურად. როდესაც ყველას თავისი წილი და ხვედრი ეცოდინება, მაშინ ძმათა შორის შუღლი და სისხლის ღვრაც მოისპობა.

დროა, ქიზიყელებო, გამოიღოთ ბამბა ყურებიდან და შეიგნოთ, რომ თქვენი პატრონი დედამიწის ზურგზე თქვენს მეტი არავინ არის. მიჰმართეთ სამედიატორო სამართალს, მამულების აზომვასა და თანაბრად [illegible], თორემ როდემდის უნდა იყოთ ასეთ მდგომარეობაში!

რომელ სოფელშიაც-კი ძმობა ერთობის ხმამ მიაღწია, იქ საქმეებს აწესრიგებენ. მაგალითად კარდანახი, სადაც დაუარსებიათ თავიანთი სამართალი. ორმოცი კაცი აურჩევიათ, ესენი განაგებენ ყოველგვარ დავას სოფლელებს შორის. სასტიკია ეს სამართალი, მაგრამ მასთან უებარი წამალიც ყოფილა ქურდობისა და ათასნაირ ავაზაკობის წინააღმდეგ. დამნაშავეს ეს არჩეული კაცები შეაჩვენებენ, აანაზღაურებინებენ ნაქურდალს და სასოფლოდაც ჯარიმას გადაახდევინებენ. რაც ეს ხალხის სამართალი დაწესდა, კარდანახში მოისპო ქურდობა და ვაზების დაჭრა, რომელიც წინად ჭირივით მოდებული ჰქონდა მთელს სოფელს.

საშინელი მკვდარი ქალაქია ჩვენი სიღნაღი. ყოველ კუთხეს დიდის რუსეთისას მოედო განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხოლო სიღნაღს ამ მოძრაობაში არც მიუღია მონაწილეობა და არც აპირობს მიღებას.

ურკინიგზობამ ძალიან შეაწუხა ჩვენი მხარე. გარდა იმისა, რომ ამ გარემოებამ დასცა ჩვენი მეურნეობა, თვით ჩვენს შეუგნებლობასა და განუვითარებლობას დიდი და მტკიცე კავშირი აქვს ჩვენს კარ ჩაკეტილობასთან. ჩვენ გვგვირობთ, რად არ აღძრავს კვლავ ჩვენი თავად-აზნაურობა ხმას კახეთის რკინის გზის კონცესსიის მისაღებად? ახლა ხომ დროება იცვალა! ახლა ხომ სხვა სიო სცემს უმაღლეს ბიუროკრატიაშიაც, საფიქრებელია, რომ ახლა მისცენ კონცესსია. მაშ ვისარგებლოთ დროთი და ვითხოვოთ კონცესსია.

გოგრა-ქევხა.

წერილი რედაქციის მიმართ

I

გთხოვთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ, რომ ჩვენ, „კახეთი-“ს საზოგადოების მოსამსახურენი, სრულად ვერ ვეთანხმებით გამგეობისაგან მოცემულ წინადადებას, რომელიც „ცნობის ფურცლის“ № 2845-ში იყო დაბეჭდილი, და ჩვენის მხრივ თანახმა ვართ სამედიატორო სასამართლოს გასარჩევ საგნად იყოს მხოლოდ საქმე დათხოვნილ ამხანაგისა, უფლება-კი უზრუნველყოფილ იქმნას *). თუ გამგეობა ამ წინადადებაზე დაგვეთანხმდება, მაშინ ჩვენის მხრივ მედიატორებად ვასახელებთ: ს. ფირცხელავას, კ. ჯაფარიძესა და მ. ნათაძეს. ამასთანავე ჩვენ ვაცხადებთ, რომ ბოიკოტისათვის ჯერ არ მიგვიმართავს.

კახელ მევენახეთა საზოგადოების მოსამსახურენი: ესტატე ავალიშვილი, ვარ. წიწვაძე, გ. ჭონიაშვილი, ალ. გარსიაშვილი და ი. ფაცხელაური.

II

ბატონო რედაქტორო! თქვენის პატივცემულ გაზეთის № 96-ში მოთავსებულია წერილი სოფელ თამარაშენში მცხოვრებ მემამულე თ-დ მაჩაბლებისა გლეხებთან შეთანხმებაზე. რადგანაც მე იმ დროს სხვადასხვა მიზეზების გამო იქ ვერ დავესწარი და ამ შეთანხმებაზე ხელი ვერ მოვაწერე, ამიტომ ეხლა ვაცხადებ, რომ სიამოვნებით ვეთანხმები ჩემის სახლიკაცების თ. მაჩაბლების გადაწყვეტილებას და უმორჩილესად გთხოვთ, გამოაცხადოთ ეს თქვენს პატივცემულ გაზეთში.—

თ. ზაქარია ერეკლეს ძე მაჩაბელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

16 ივნისი.

პეტერბურგი, 15 ივნისი. ოფიციალური. გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატისადმი: „საჭიროდ დავინახეთ გავაძლიეროთ ჩვენი ლაშქარი შორეულს აღმოსავლეთში და ამიტომ ვუბრძანებთ ჩვენს სამხედრო მინისტრს, ახლავე მოახდინოს შესაფერი განკარგულებანი და, მეომარ ჯარების დანაკლისის შესავსებლად, საომარ ფეხზე დააყენოს სათადარიგო ჯარის-კაცნი პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ვარშავისა და ვილნოს სამხედრო ოლქებიდან. ცხენების მობილიზაცია გამოცხადდეს ვილნოსა, კიევისა და ვარშავის სამხედრო ოლქებში“.

გუნჯულინი, 14 ივნისი. საზოგადოდ საქმეთა მდგომარეობა უცვლელადაა. 12 ივნისს იაპონელებმა შემოგვიტიეს და ჩვენს მოწინავე ცხენოსნებს ჩრდილოეთისკენ უკან დაახევინეს. ეს შემოტევა, უნდა ვიფიქროთ, იმ აზრით მოახდინეს, რომ კარგად დაეზვერათ რუსების პოზიციები მთელს შუბლის ჯარზე. ძნელი სათქმელია, როდის მოხდება ბედის გადამწყვეტი ომი. რამდენჯერმე წინადაც ამბობდნენ, აი, ახლა დაიწყებენ იაპონელები ომის ბედის გადამწყვეტ ბრძოლასაო, დროსა და დღესაც კი ასახელებდნენ, მაგრამ ამნაირ ცნობებს მხოლოდ შეცდომაში შეჰყავდა და შეჰყავს საზოგადოება.

ტოკიო. კონსტიტუციონალისტთა პარტიის კომიტეტმა დღეს მიიღო რეზოლუცია, რომ ომის მიზნის მისაღწევად, რომელიც გამოცხადებული იყო მანიფესტით ომის დაწყებამდე, იაპონიის ინტერესების დასაცველად შორეულ-აღმოსავლეთში, საჭიროა მოვთხოვოთ რუსეთს ტერიტორიის დათმობა და ზარალის ანაზღაურება კორეისა და მანჯურიის საკითხები უნდა ნათლად და საბოლოოდ გადაწყდეს. რეზოლუცია მინისტრ-პრეზიდენტს წარედგინა. პროგრესისტთა პარტიამაც ამნაირივე მოწოდება გამოსცა და დაუმატა შემდეგი პირობები: რუსეთს არ შეეძლოს ციხე-სიმაგრეების აგება ისეთს ადგილებში, სადაც იაპონიის ინტერესები ამას ეწინააღმდეგება; რუსეთმა უნდა სრულიად ხელი აიღოს მანჯურიაზე და მის ბედ-იღბალში აღარ გაერიოს; ისეთი აღარა ჩაიდინოს-რა ჩინეთის საზღვრებზე, რაც მშვიდობიანობისთვის საშიში იქმნება.

ლოძი, 15 ივნისი. ვარშავის მუშათა [illegible] უმთავრესმა კომიტეტმა (?!) პროკლამაციები გამოსცა და მთელის პოლონეთის მუშებს მიჰმართა: თუ სამშობლო გიყვართ, თავი გაანებეთ სოციალისტურ იდეების მიმდევრობას და მუშაობას შეუდექით, რომ ბოლო მოვუღოთ სხვადასხვა შეტაკებასაო. მუშაობის შეწყვეტამ მთელი მხარე გააღატაკა და გაუბედურაო.

პარიზი, 15 ივნისი კუნძულ კრიტს ყოველის მხრიდან ალყა შემოარტყეს.

პავლოგრადი, 15 ივნისი. მთელს ქალაქში პროკლამაციები გაავრცელეს. პროკლამაციებში პოლიციის მოხელეებს სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყვეტილი.

ელისავეტგრადი, 15 ივნისი. ხერსონის გუბერნატორი მაზრებში გაემგზავრა გლეხთა მოძრაობის მიზეზთა გამოსაკვლევად.

პეტერბურგი, 15 ივნისი. მაისის განმავლობაში ფინლიანდიაში 30 შემთხვევა იყო ახალის სენის „მენინგიტის“ ავადმყოფობისა, მათ რიცხვში ჰელსინგფორსში ავად გამხდარა 5 კაცი.

მაისის უდიდებულესობის ამალის კონტრ-ადმირალი აბაზა გამორიცხულ იქმნა შორეულ-აღმოსავლეთის საგანგებო კომიტეტის წევრის თანამდებობიდან, ხოლო ამალაში ისევ დარჩება.

პარიზი. რუსეთის მთავრობისათვის მის წარმომადგენელთ პარიზსა და ბერლინში შეუტყობინებიათ შინაარსი საფრანგეთის ნოტისა და აგრეთვე გერმანიისაც. თუ რომ საფრანგეთი კონფერენციაში მონაწილეობას არ მიიღებს იმის გამო, რომ წინადვე არ იცის, რა საკითხება იქმნება გამოსარკვევი და გადასწყვეტი, გერმანია ხელს არ მოაწერს მორიგების ხელშეკრულობას მაროკოს შესახებ, მით უმეტეს, რომ სულთანს ამ ხელშეკრულობის დადებაში მონაწილეობა არ მიუღია და ეს მას სუვერენობრივს უფლებას უწინააღმდეგება.

პეტერბურგი. სახელმწიფოს საბჭოს წევრი გენერალი გრიპენბერგი ქვეითი ჯარის გენერალ-ინსპექტორად დაინიშნა, გენერალ-ინსპექტორის თანაშემწე ოსტროგრადსკი კავალერიის გენერალ ინსპექტორად დაინიშნა.

ხარკოვი. ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკის აქციონერმა ილჩენკომ პროკურორს საჩივარი მისცა და ითხოულობს, მოსკოვის ვაჭრები ვლადიმერ, პავლე და მიხეილ რებუშინსკები სისხლის სამართალში მიეცეთ, რადგან, როცა ბანკის გამგეობის წევრებად იყვნენ, ორ მილიონ-ნახევარი გაასესხეს უმნიშვნელო თამასუქებითო.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

—

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

---

*) ჩვენი მოთხოვნილება იხილეთ „ტფილ. ფურც.“-ის № 122-ში, ახალ ამბებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 іюня 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.